პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# კომუნისტი

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО КОМИТЕТА КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 33-ე წელი

№ 162 (9322)

ხუთშაბათი 10 ივლისი 1952 წ.

ფასი 20 კაპ.

## დღეს გაზეთშია

საწარმოო თათბირი—მოწინავე (1-ლი გვერდი).
რკინიგზელის სტალინური დღის შესახვედრად (1-ლი გვერდი).
საბჭოთა კავშირში (1-ლი გვერდი).
დონბასელ მეშახტეთა გამოცდილების გამოყენებით (მე-2 გვერდი).
კოლმეურნეობისადმი უსგავსო ხელმძღვანელობის შედეგი (მე-2 გვერდი).
მამხილებელი სიგნალებისა და მათი ბედის შესახებ (მე-2 გვერდი).
საქართველოს პროფსაბჭოს ... (მე-3 გვერდი).
გასულ თეატრალურ სეზონზე (მე-3 გვერდი).
არჩევნების წინ ა. შ. შტატებში (მე-3 და მე-4 გვერდი).
უცხოეთის ინფორმაციები (მე-4 გვერდი).

## საწარმოო თათბირი

მშრომელთა შემოქმედებითი ინიციატივის მობილიზაციის შესანიშნავ საშუალებას, სოციალისტური სახალხო მეურნეობის მართვაში მასების აქტიური მონაწილეობის ერთ-ერთ საუკეთესო ფორმას წარმოადგენს საწარმოო თათბირი, იგი მოწოდებულია ხელი შეუწყოს წარმოების ნოვატორთა შრომის მოწინავე მეთოდების სწრაფად და ფართოდ გავრცელებას, კრიტიკის, განსაკუთრებით ქვემოდან კრიტიკის გაშლით საწარმოთა მუშაობაში არსებულ ნაკლოვანებათა აღმოფხვრას, პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებას, თვითღირებულების შემდგომ შემცირებას, შრომის ნაყოფიერების ამაღლებას.

ხალხთა გენიალური ბელადი და მასწავლებელი ამხანაგი სტალინი ჯერ კიდევ 1926 წელს, როდესაც ჩვენი ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის აუცილებლობას განსაზღვრავდა, მიგვითითებდა საწარმოო თათბირების, როგორც მშრომელთა მილიონიანი მასების აქტივობის ამაღლების საშუალებაზე, მოითხოვდა საწარმოო თათბირების საქმიანობის უფრო მაღალ საფეხურზე აყვანას. «საწარმოო თათბირების პროგრამა, — ამბობდა ამხანაგი სტალინი, — უნდა გავაფართოოთ და შინაარსით უფრო მდიდარი გავხადოთ. საწარმოო თათბირებზე უნდა დაისვას მრეწველობის მშენებლობის ძირითადი საკითხები».

ამხანაგ სტალინის ამ ბრძნულ მითითებას დღესაც ისეთივე უაღრესად აქტუალური მნიშვნელობა აქვს, როგორიც ამ 26 წლის წინათ ჰქონდა. საწარმოო თათბირებმა დიდი როლი შეასრულეს როგორც ომამდელი სტალინური ხუთწლედების შესრულებისათვის საბჭოთა ხალხის ბრძოლაში, ისე ომისშემდგომ წლებში პარტიისა და მთავრობის მიერ ჩვენი ქვეყნის წინაშე დასახული ამოცანების განხორციელების საქმეში.

კარგად მოწყობილ საწარმოო თათბირს უაღრესად დიდი სარგებლობის მოტანა შეუძლია წარმოებისათვის. საწარმოო თათბირებზე ირკვევა წარმოების შემაფერხებელი მიზეზები, ისახება ნაკლოვანებათა აღმოფხვრის, წარმოების ტექნოლოგიური პროცესების გაუმჯობესების, შრომის ნაყოფიერების ამაღლების გზები. მაგრამ წარმატებათა მოპოვებისათვის მარტო თათბირების მოწვევა როდია საკმარისი. ამასთანავე აუცილებელია საწარმოო თათბირის მიერ დასახულ ღონისძიებათა განხორციელებისათვის შეუნელებელი ბრძოლა, რაც საამქროთა უფროსებს და მთლიანად საწარმოთა ხელმძღვანელებს ეკისრებათ.

იმ საწარმოებში, სადაც რეგულარულად იწვევენ საწარმოო თათბირებს და უნარიანად იბრძვიან მათ მიერ დამუშავებულ ღონისძიებათა განხორციელებისათვის, წარმატებაც უზრუნველყოფილია. თბილისის კიროვის სახელობის ჩარხმშენებელი ქარხნის საამქროებში სამეურნეო წლის პირველ ნახევარში 77 საწარმოო თათბირი მოიწვიეს და თითქმის ოთხასამდე საკითხი დაამუშავეს, რომელთა დიდი უმრავლესობა უკვე განხორციელებულია. საწარმოო თათბირებზე განხილულ საკითხთა შორის ვხვდებით წარმოებისათვის ისეთ აქტუალურ საკითხებს, როგორიც არის ბრძოლა ლითონის დანაკარგებთან, წუნის აღმოფხვრა, ცვლის ოსტატის მუშაობა, რაციონალიზატორულ წინადადებათა წარმოებაში დანერგვა, შიდასაქარხნო ტრანსპორტის მოცდენის ლიკვიდაცია.

მაგრამ მთელ რიგ საწარმოებში თათბირებს არარეგულარულად იწვევენ, გამოაქვთ არაკონკრეტული გადაწყვეტილებანი. ხშირად თათბირის მონაწილენი ამხილებენ მუშაობაში არსებულ ნაკლოვანებებს, აკრიტიკებენ სამეურნეო და პროფესიული ორგანიზაციების ხელმძღვანელებს, მაგრამ ამ შენიშვნებს არ აღრიცხავენ, ნაკლოვანებათა აღმოფხვრისათვის არ იბრძვიან. მიმდინარე წლის 27 მარტს თბილისის ლითონკონსტრუქციების ქარხნის მექანიკური საამქროს საწარმოო თათბირზე განიხილეს პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესების საკითხი. გამოვიდა 14 კაცი, რომლებმაც გააკრიტიკეს ქარხნის ხელმძღვანელობა პროდუქციის ხარისხის გასაუმჯობესებლად ზომების მიუღებლობის გამო. მიუხედავად ამისა, თათბირს არ მიუღია არავითარი დადგენილება და მუშა-მოსამსახურეთა ეს საქმიანი შენიშვნები და წინადადებები განუხორციელებელი დარჩა.

ხშირად მომხმარებლები კანონიერ საყვედურს გამოთქვამენ თბილისის თამბაქოს პირველი ფაბრიკის მიერ გამოშვებული სიგარეტების დაბალი ხარისხის გამო. ფაბრიკის საპილზე საამქროს საწარმოო თათბირზე განიხილეს პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესების საკითხი. მაგრამ საამქროს უფროსმა ამხ. ოსიპოვმა თათბირის მუშაობა ისე წარმართა, რომ ცუდი ხარისხის პროდუქციის დამზადება დამტენ საამქროს გადააბრალეს. ფაბრიკის დირექციამ და საფაბრიკო კომიტეტმა საჭიროდ არ ჩათვალეს პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესების საკითხი საერთო-საფაბრიკო საწარმოო თათბირზე განეხილათ.

თბილისმშენის ტრესტის მშენებლობებზე სისტემატურად ვერ ასრულებენ მშენებლობის გეგმებს, ხშირია მუშახელის მოცდენა, მთელი სიმძლავრით ვერ იყენებენ მექანიზმებს, არ იცავენ მშენებლობის ხარისხობრივ მაჩვენებლებს. ასეთ პირობებში საწარმოო თათბირების მუშაობას გადამჭრელი მნიშვნელობა აქვს ნაკლოვანებათა აღმოფხვრისა და მშენებლობის დაჩქარებისათვის. მიუხედავად ამისა, მშენებლობათა ხელმძღვანელებს და პროფორგანიზაციებს წელს სამშენებლო ობიექტებზე საწარმოო თათბირი არ მოუწვევიათ. ანალოგიური მდგომარეობაა საქართველოს ნავთის ტრესტის საწარმოებში, ქუთაისის სამთო-მანქანათმშენებელ ქარხანაში, მთელ რიგ საბჭოთა მეურნეობებსა და მანქანა-ტრაქტორთა სადგურებში.

საწარმოო თათბირების მუშაობის მაღალ საფეხურზე აყვანას განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს ამჟამად, როდესაც თვითეული საწარმოს სამეურნეო ხელმძღვანელობის, პარტიული და პროფესიული ორგანიზაციების წინაშე დასმულია საკითხი პროდუქციის ხარისხის მკვეთრად გაუმჯობესების, საფაბრიკო მარკის ღირსების დაცვის შესახებ. სოციალისტური შეჯიბრების ახალი პირობები, რომელიც საკავშირო პროფსაბჭოს VI პლენუმმა შეიმუშავა, გეგმის რაოდენობრივ შესრულებასთან ერთად ითვალისწინებს დავალებათა შესრულებას ასორტიმენტისა და ნომენკლატურის ზუსტად დაცვით, პირველხარისხოვანი პროდუქციის გამოშვების გადიდებას, ბრძოლას თვითღირებულების შემცირების, ნედლეულისა და მასალების მაქსიმალური ეკონომიისათვის.

საწარმოო თათბირები მასების შემოქმედებისა და აქტივობის ფართო ასპარეზია, სადაც იშლება კრიტიკა და თვითკრიტიკა, ისახება ნაკლოვანებათა აღმოფხვრის, საწარმოო გეგმების შესრულების, რიტმული მუშაობის გზები. გულისხმიერად დაუგდო ყური მასების ხმას, დაეხმარო მუშა-მოსამსახურეთა აქტივობის ზრდას—ნიშნავს ხელი შეუწყო მრეწველობისა და მთლიანად სახალხო მეურნეობის შემდგომ მძლავრ აღმავლობას.

საწარმოთა სამეურნეო ხელმძღვანელების, პარტიული და პროფესიული ორგანიზაციების მოვალეობაა გადაჭრით გააუმჯობესონ საწარმოო თათბირების მუშაობა, ყოველმხრივ აამაღლონ მათი როლი ჩვენს ქვეყანაში კომუნისტური მშენებლობის დიადი პროგრამის განხორციელებისათვის ბრძოლაში.

## ჰექტარზე 30 ცენტნერი ხორბალი

**თელავი.** (საქ. კორ.). მასობრივად გაჩაღდა პურის მოსავლის აღება. თელავისა და ნაფარეულის მანქანა-ტრაქტორთა სადგურების 25 კომბაინი მუშაობას შეუდგა.

სოფელ კურდღელაურის ენგელსის სახელობის კოლმეურნეობაში თელავის მტს-ის კომბაინერი დიმიტრი მამუკელაშვილი მუშაობს. იგი იბრძვის იმისათვის, რომ მოსავალი აიღოს 500 ჰექტარზე. მამუკელაშვილი დღეში მკის 11-12 ჰექტარს. ჰექტარზე მიღებულია 23 ცენტნერი ხორბალი.

ხორბლის კარგ მოსავალს იღებენ სოფელ გულგულის სტალინის სახელობის კოლმეურნეობაში. კომბაინერმა ირაკლი კირიაკოვმა ჰექტარზე საშუალოდ 35 ცენტნერი ხორბალი აიღო. „ლაგოდეხური გრძელთავთავას“ ნათესებიდან ჰექტარზე საშუალოდ 30 ცენტნერია მიღებული.

კომბაინერი ვალერიან ვაშაძე ბკურის კოლმეურნეობა „მოწინავეში“ ყოველდღიურად 13-15 ჰექტარ ყანას მკის.

## სტალინური პრემიის ლაურეატი ჩქაროსანი ხარატი ა. მარკოვი თბილისში

გუშინ თბილისში ჩამოვიდა მოსკოვის ქარხანა „კრასნი პროლეტარის“ ცნობილი ნოვატორი, ლითონის ჩქაროსნული ჭრის ოსტატი, სტალინური პრემიის ლაურეატი ამხ. ა. მარკოვი.

ამხ. ა. მარკოვის სახელი ფართოდ არის ცნობილი ჩვენს ქვეყანაში. ცნობილ ნოვატორ ხარატებთან პ. ბიკოვთან და გ. ბორტკევიჩთან ერთად მან შეიმუშავა და წარმოებაში დანერგა ლითონის ჩქაროსნული ჭრის მეთოდი, რომელმაც დიდად გაზარდა სახარატო ჩარხის წარმადობა.

პ. ბიკოვის, გ. ბორტკევიჩისა და ა. მარკოვის მეთოდს ამჟამად ფართოდ იყენებენ ჩვენი სამშობლოს ლითონდამმუშავებელ საწარმოებში. ლითიდღე იზრდება ჩქაროსან ხარატთა რიგები თბილისის ქარხნებშიც.

ამხ. ა. მარკოვს განზრახული აქვს ახლოს გაეცნოს თბილისის კიროვის სახელობის ჩარხმშენებელი ქარხნის მუშაობას და იქ 15 ივლისამდე დარჩეს. იგი კიროველებს გაუზიარებს ჩქაროსნული მუშაობის თავის გამოცდილებას, გაეცნობა, თუ როგორ ინერგება და ვრცელდება ქარხანაში ლითონის ჩქაროსნული ჭრის მეთოდი.

გუშინ ამხ. ა. მარკოვმა დაათვალიერა კიროვის სახელობის ჩარხმშენებელი ქარხნის საამქროები.

## რკინიგზელის სტალინური დღის შესახვედრად

### ელმავლის კომკავშირული ბრიგადა

უფროსი მემანქანე კომკავშირელი გრიგოლ ბოგვერაძე და მისი თანაშემწე ნიკოლოზ წიკლაური ახალი რეისისათვის ემზადებოდნენ. მათი მეწყვილე გ. ლიკლიკაძე და ტ. ვაშაკიძე აბარებდნენ ლოკომოტივს: სინჯავდნენ ლოკომოტივის სავალ ნაწილებს, გოგორწყვილებს, ბუქსებს, სამუხრუჭო მოწყობილობას. გრიგოლმა ყურადღებით დაათვალიერა აგრეთვე ელმავლის ელექტროაპარატურა. ყველაფერი რიგზე იყო.

— მეგობრებო! — მიმართა მან ამხანაგებს, — ახლოვდება რკინიგზელის სტალინური დღე, ჩვენს ბრიგადაში ყველანი კომკავშირელები ვართ, კომკავშირელი კი ყველგან და ყველაფერში მოწინავე უნდა იყოს. მოდით, რკინიგზელის სტალინურ დღესთან დაკავშირებით ვიკისროთ ახალი ვალდებულებები და ვიბრძოლოთ მათი შესრულებისათვის.

ამ პატრიოტულ მოწოდებას ყველა სიხარულით შეხვდა.

ეს იყო ორიოდე თვის წინათ. რკინიგზელის დღის აღსანიშნავად გ. ბოგვერაძის ბრიგადამ იკისრა 20 მძიმე წონის მატარებლის გადაყვანა, 18.000 ტონა ზეგეგმითი ტვირთის გადაზიდვა, ელმავლის მიმდინარე შეკეთებაზე ფულადი ეკონომიის გაწევა, ზეთისა და საწმენდი მასალის დაზოგვა.

მძიმე წონის მატარებლის ტარება დიდ პასუხისმგებლობას, საქმის ცოდნასა და მონდომებას მოითხოვს. ამიტომ ბრიგადას შემუშავებული და დადგენილი აქვს მატარებლის ტარების რაციონალური რეჟიმი. ბრიგადის თვითეულ წევრს განაწილებული აქვს შრომა, მათ კარგად აქვთ შეთვისებული ელმავლის მოვლის წესები, თვითეულმა მათგანმა წინასწარ იცის, რა სამუშაო უნდა შეასრულოს.

ნაკისრ ვალდებულებათა გასანაღდებლად ბრიგადამ ენერგიულად გაშალა მუშაობა. მიმდინარე წლის 4 უკანასკნელ თვეში გ. ბოგვერაძის ლოკომოტივის ბრიგადამ გეგმის გადამეტებით გადაიყვანა 36 მძიმე წონის მატარებელი, გადაზიდა მრავალი ათასი ტონა ტვირთი. მარტო ივნისის 20 დღეში ბოგვერაძის ბრიგადამ 6 მძიმე წონის მატარებელი გადაიყვანა და 3.500 ტონა ზეგეგმითი ტვირთი გადაზიდა, გასწია 5.367 მანეთი ფულადი ეკონომია, დაზოგა დიდძალი ზეთი და საწმენდი მასალა.

გ. ბოგვერაძის საელმავლო ბრიგადა დიდი ხანია სამეურნეო ანგარიშზეა გადაყვანილი. ნოვატორ მემანქანეთა მუშაობის მეთოდების საფუძვლიანმა დაუფლებამ კიდევ უფრო განამტკიცა ბრიგადის მიღწევები. ბრიგადის მიერ მოპოვებული წარმატებები ჩაწერილია დეპოს წარჩინებულ ადამიანთა საპატიო წიგნში. ელმავლის კომკავშირული ბრიგადა მეცხრე თვეა ატარებს წარჩინებული კომკავშირული ელმავლის საპატიო წოდებას.

**ლ. სარჯველაძე.**

### მოწინავე რაციონალიზატორები

**სამტრედია.** (საქ. კორ.). შარშან და წელს სამტრედიის საორთქლმავლო დეპოში 21 რაციონალიზატორული წინადადება წამოაყენეს, რომელთაგან 12 მიიღეს და განახორციელეს. აღსანიშნავია, რომ იმ რაციონალიზატორულ წინადადებათაგან, რომლებიც წარმოებაში დანერგილი, 5 დეპოს სტახანოველ ზეინკალს თ. ლექავას ეკუთვნის.

წინათ ორთქლმავლის ქვაბის სარქველი ხშირად ცვდებოდა და შეცვლას საჭიროებდა. ამ გარემოებას დაუკვირდა ზეინკალი თ. ლექავა და თუჯის სარქველს დაუმატა ფერადი ლითონის რგოლი, რითაც მნიშვნელოვნად გაახანგრძლივა სარქველის მუშაობის დრო.

ორთქლმავლებზე წყლის საზომი ონკანების რკინის სარქვლებს ორთქლი აზიანებდა. ამხ. ლექავამ ონკანის რკინის სარქველი ფერადი ლითონის სარქველით შეცვალა. ამის შედეგად სარქველის მუშაობის ხანგრძლივობა გაიზარდა და ორთქლის დანაკარგებიც შემცირდა.

წინათ საწარმოში ქანჩების ხრახნილებს ხელით ჭრიდნენ. თ. ლექავამ ქანჩის ხრახნილების მოჭრა მდარავ დაზგაზე მოაწყო. ამ მეთოდით ახლა საათში 50 ცალი ქანჩი მზადდება, წინათ კი ამავე დროში 10 ცალს ამზადებდნენ. მისივე წინადადებით ორთქლმავლებზე წყლის მიმწოდებელ ინჟექტორებს დამატებითი ხვრელები გაუკეთეს, რაც მნიშვნელოვნად აადვილებს ამ ხელსაწყოს ნალექებისაგან გაწმენდას. მარტო ამ წინადადების დანერგვით საორთქლმავლო დეპო 3.506 მანეთ ეკონომიას მიიღებს.

მრანდავმა ს. ყაჭეიშვილმა სარანდავ ჩარხზე დგუშის რგოლების დასამაგრებელი მოწყობილობა შეიმუშავა, რითაც თვითეული დგუშის რგოლის გარანდვისათვის საჭირო დრო 30 წუთით შეამცირა.

## სახალხო დემოკრატიის ქვეყნებში



ხულ უფრო მეტი უნგრელი ქალი მიდის წარმოებაში სამუშაოდ. ისინი წარმატებით ეუფლებიან მათთვის ახალ პროფესიებს. გამოცდილი მუშაკები ეხმარებიან მათ ხპეციალობის დაუფლებაში. **სურათზე:** მრანდავი გიზელა გუიაში, რომელიც ნორმას 140 პროცენტით ასრულებს, ასწავლის სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებლობის ქარხანაში ახალმისულ ხილდა მიცანს.

(საკდესის ფოტოქრონიკა)

### „შევისწავლოთ რუსული ენა— ლენინისა და სტალინის ენა“

**პრაღა,** 8 ივლისი. (საკდესი). ჩეხოსლოვაკიაში წლითიწლობით იზრდება რუსული ენის სახალხო კურსების მსმენელთა რიცხვი. ჩეხოსლოვაკიის უკვე ასეულ ათასობით მუშა, გლეხი, გონებრივი შრომის მუშაკი კითხულობს კაცობრიობის დიდი ბელადების ვ. ი. ლენინისა და ი. ბ. სტალინის რუსულ ენაზე გამოცემულ ნაწარმოებებს, საბჭოთა პოლიტიკურ, მეცნიერულ და ტექნიკურ ლიტერატურას. ეცნობიან რა საბჭოთა ავტორების წიგნებს, ჩეხოსლოვაკიის მშრომელები ეუფლებიან საბჭოთა კავშირის მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის მოწინავეთა მუშაობის გამოცდილებას.

ჩეხოსლოვაკიაში გამოდის ბევრი სახელმძღვანელო და მეთოდური ლიტერატურა რუსული ენის შემსწავლელთათვის. განუწყვეტლივ სრულყოფენ თავიანთ ცოდნას მასწავლებლები რუსული ენის სახალხო კურსებზე.

ჩეხოსლოვაკიაში დამთავრდა მესამე სასწავლო წელი რუსული ენის სახალხო კურსებზე. მიმდინარე წლის განმავლობაში მუშაობდა 19.363 წრე, რომლებშიც მეცადინეობდა 309.774 მსმენელი. ახლა დაიწყო მზადება კურსებზე მსმენელთა ახალი მიღებისათვის.

ამას წინათ ოსტრავის ოლქის ქალაქ გრადეცში, ოპავის მახლობლად, დამთავრდა ამ კურსების სამდღიანი საერთო-სახელმწიფო კონფერენცია, რომელიც ჩეხოსლოვაკია-საბჭოთა კავშირის მეგობრობის კავშირის ცენტრალურმა კომიტეტმა მოიწვია. კონფერენციის მონაწილეებმა განიხილეს სამრეწველო საწარმოებში, ერთიან სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივებსა და მანქანა-ტრაქტორთა სადგურებში, დაწესებულებებსა და სასწავლებლებში რუსული ენის წრეების მუშაობის შემდგომ გაუმჯობესებასთან დაკავშირებული საკითხები. კონფერენციის მონაწილეებმა დიდი ყურადღებით მოისმინეს ქალაქ ბრნოს უნივერსიტეტის რექტორის პროფესორ ფ. ტრავნიჩეკის მოხსენება თემაზე: „შევისწავლოთ რუსული ენა — ლენინისა და სტალინის ენა“.

### ალბანეთის დემოკრატიული ფრონტის გენერალური საბჭოს სხდომა

**ტირანა,** 9 ივლისი. (საკდესი). ალბანეთის დეპეშათა სააგენტო იუწყება, რომ 7 ივლისს ტირანაში გაიმართა ალბანეთის დემოკრატიული ფრონტის გენერალური საბჭოს სხდომა, რომელსაც თავმჯდომარეობდა ენვერ ხოჯა. დემოკრატიული ფრონტის გენერალურმა მდივანმა ჰიუსნი კაპომ გააკეთა მოხსენება დემოკრატიული ფრონტის მუშაობისა და იმ ამოცანების შესახებ, რომლებიც მის წინაშე დასახულია ხუთწლიანი გეგმის შესრულების დარგში.

შემდეგ გენერალური საბჭოს წევრმა ჰაჯი ლეშიმ ფრონტის ორგანიზაციებს დაუსახა ამოცანები სახალხო საბჭოების საარჩევნო კამპანიაში, რომლებმაც უნდა უზრუნველყონ სახალხო ხელისუფლების შემდგომი განმტკიცება და დემოკრატიზაცია. ეს არჩევნები მოხდება მიმდინარე წლის სექტემბერში.

ამ სხდომაზე მიღებულ იქნა მიმართვა ალბანელი ხალხისადმი სახალხო საბჭოების ახალ არჩევნებთან დაკავშირებით.

სხდომის დახურვისას ალბანეთის დემოკრატიული ფრონტის თავმჯდომარემ ენვერ ხოჯამ ილაპარაკა ფრონტის განმტკიცებაზე და აღნიშნა, რომ იგი უნდა დაირაზმოს სახალხო საბჭოების ახალი არჩევნების წარმატებით მოწყობისათვის.

### კინოსურათ „მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის“ შემქმნელთა დაჯილდოება

**ულან-ბატორი,** 9 ივლისი. (საკდესი). მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის დიდი სახალხო ხურალის პრეზიდიუმმა სპეციალური ბრძანებულებით დააჯილდოვა კინოსურათ „მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის“ შექმნის მონაწილენი მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის ორდენებითა და მედლებით.

შრომის წითელი დროშის ორდენით დაჯილდოებულია საბჭოთა სცენარისტი და კინორეჟისორი ა. ტროიანოვსკი; „პოლარული ვარსკვლავის“ ორდენით დაჯილდოებული არიან კინოფილმის დირექტორი ბესმერტნი, დირექტორის მოადგილე ხურლი, სცენარისტი ზანდრა, ოპერატორები გუსევი, სოლოგუბოვი, კოტლიარენკო და ჟიგმიდ იაცუნი. მედლით „შრომითი წარჩინებისათვის“ დაჯილდოებული არიან ხმის ოპერატორი კოტოვი, ოპერატორი დამბა, კომპოზიტორი გონჩიკსუმლა, აგრეთვე ლუვსანამჟილი, ერდენე და ჟიგმიდსურენი.

## საბჭოთა კავშირში

### პირველი სამგზავრო გემი ვოლგა-დონზე

**ნიჟნე-ჩირსკაია** (სტალინგრადის ოლქი), 8 ივლისი. (საკდესი). დღეს ციმლიანსკის წყალსაცავში ნიჟნე-ჩირსკაიას რეიდზე მოვიდა გემი „სერგეი კიროვი“, რომელიც გადაკეთებულია ტბის პირობებში სანაოსნოდ. ეს პირველი სამგზავრო გემია, რომელიც საცდელ რეისს ასრულებს ვოლგა-დონის სანაოსნო გზით. მან არხის ყველა რაბი შემჭიდროებული გრაფიკით გაიარა.

გემმა კურსი აიღო დონის როსტოვისაკენ. არხისპირა დაბებისა და სტანიცების მცხოვრებნი მხურვალედ მიესალმნენ პირველი სამგზავრო გემის ეკიპაჟს.

### მოსკოვს ჩამოვიდა პიეტრო ნენი

8 ივლისს მოსკოვს ჩამოვიდა მშვიდობის მსოფლიო საბჭოს ვიცე-თავმჯდომარე, იტალიის სოციალისტური პარტიის გენერალური მდივანი, იტალიის პარლამენტის დეპუტატი პიეტრო ნენი.

ვნუკოვოს აეროდრომზე პიეტრო ნენის შესახვედრად შეიკრიბნენ საბჭოთა საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლები, გამოჩენილი მეცნიერები, მწერლები, ხელოვნების მოღვაწენი, მშვიდობის მომხრეთა მოძრაობის აქტიური მონაწილენი. შემხვედრთა შორის იყვნენ „ხალხთა შორის მშვიდობის განმტკიცებისათვის“ საერთაშორისო სტალინური პრემიების კომიტეტის თავმჯდომარე აკადემიკოსი დ. ვ. სკობელცინი, მშვიდობის დაცვის საბჭოთა კომიტეტის წევრები.

მშვიდობის დაცვის საბჭოთა კომიტეტისა და სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციების სახელით კომიტეტის პრეზიდიუმის წევრმა კინორეჟისორმა ს. გერასიმოვმა გულთბილი სალამი უძღვნა პიეტრო ნენის.

მიკროფონთან გამოსულმა პიეტრო ნენიმ მადლობა გამოთქვა გულთბილი მეგობრული შეხვედრისათვის.

— მე და ჩემი მეგობრები, — განაცხადა მან, — ყოველ ღონეს ვიხმართ, რათა ღირსი ვიყოთ იმ სიმპათიისა, რომლითაც მთელი საბჭოთა ხალხი გვეპყრობა. (საკდესი).

### ბელორუსია ეხმარება კომუნიზმის დიად მშენებლობებს

**მინსკი,** 8 ივლისი. (საკდესი). ბელორუსიის რკინიგზებითა და სანაოსნო მაგისტრალებით მიდის ტვირთები კომუნიზმის დიადი მშენებლობებისათვის. რესპუბლიკის მშრომელები ვადამდე ასრულებენ საპატიო დაკვეთებს, უდიდესი ჰიდროელექტროსადგურებისა და არხების მშენებლებს უგზავნიან მანქანებს, ჩარხებს, კარჭაპებსა და დებარკადერებს, ხე-ტყეს.

დიდი წვლილი შეაქვთ ავტომობილმშენებლებს. მინსკის ქარხნის თვითდასაცლელი ავტომობილები წარმატებით მუშაობდნენ ვოლგა-დონის არხისა და ციმლიანსკის ჰიდროკვანძის მშენებლობაზე. ახლა ბევრი ასეთი მანქანაა სტალინგრადისა და კუიბიშევის ჰიდროელექტროსადგურების სამშენებლო მოედნებზე.

მოგილიოვიდან კომუნიზმის მშენებლობებს ეგზავნებათ ელექტრომოტორები და ლოკომობილები. მოგილიოვის ლოკომობილები ახლა მუშაობენ სამხრეთ უკრაინისა და ჩრდილოეთ ყირიმის არხების მშენებლობაზე.

ფართოდ ცნობილია ვიტებსკის ოლქის ჩარხმშენებელი ქარხნების პროდუქცია. ჰიდროელექტროსადგურებისა და არხების მშენებლები ამ საწარმოებისაგან იღებენ რადიალურ-საბურღავ, უნივერსალურ-სახარატო, ვერტიკალურ-საბურღავ, სატეხ-საღარავ ჩარხებს.

რეჩიცის გემთსაშენებში მზადდება კარჭაპები და დებარკადერები ახალი სამდინარო ნავსადგურებისათვის. ასეთსავე პროდუქციას „კუიბიშევჰიდრომშენს“ უგზავნის შატილკოვის გემთსაშენი (ბობრუისკის ოლქი).

სხვადასხვა პროდუქციით დატვირთულ ასობით ვაგონს უგზავნიან დიად მშენებლობებს ბელორუსიის სხვა ოლქების საწარმოები.

### ახალი ფერადი დოკუმენტალური ფილმი

მოსკოვის კინოთეატრების ეკრანებზე 8 ივლისიდან უჩვენებენ ახალ ფერად დოკუმენტალურ სურათს „მორდვეთის ასსრ“.

ეს ფილმი მოგვითხრობს მორდვეთის ასს რესპუბლიკაში სახალხო მეურნეობის განვითარებასა და ეროვნული კულტურის გაფურჩქვნაზე. მან შეავსო სერია ფერადი დოკუმენტალური ფილმებისა ჩვენი დიდი სამშობლოს ხალხთა ძმური ოჯახის შესახებ.

კინოსურათი შექმნა „ლენფილმის“ სტუდიის მუშაკთა კოლექტივმა.

(საკდესი).

### სსრ კავშირის პირველობაზე ფეხბურთში

8 ივლისს მოსკოვში „დინამოს“ ცენტრალურ სტადიონზე გაიმართა პირველი შეხვედრა სსრ კავშირის პირველობაზე ფეხბურთში. ლენინგრადელი დინამოელები თამაშობდნენ თავიანთ მინსკელ თანაკლუბელებთან.

თამაშის პირველ ნახევარში მინსკელებმა ორი ბურთი გაიტანეს მოწინააღმდეგის კარში და მხოლოდ ერთი გაუშვეს თავის კარში.

მეორე ნახევარში ლენინგრადელები გაცილებით უკეთ თამაშობდნენ და შეჯიბრება დამთავრდა ანგარიშით 4:2 მათ სასარგებლოდ.

ამ შეხვედრით დაიწყო სსრ კავშირის 1952 წლის პირველობის გათამაშება ფეხბურთში „ა“ კლასის გუნდებს შორის. გათამაშებაში მონაწილეობას იღებს ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა ქალაქის 15 უძლიერესი გუნდი: საბჭოთა არმიის ცენტრალური სახლი (მოსკოვი)—სსრ კავშირის 1951 წლის ჩემპიონი, „დინამო“ (თბილისი), „შახტიორი“ (სტალინო), „კრილია სოვეტოვ“ (კუიბიშევი), „დინამო“ (მოსკოვი), „სპარტაკი“ (მოსკოვი), „ზენიტი“ (ლენინგრადი), „დინამო“ (კიევი), „დინამო“ (ლენინგრადი), სამხედრო-საჰაერო ძალები (მოსკოვი), „დაუგავა“ (რიგა), „ტორპედო“ (მოსკოვი), ქალაქ კალინინი, „დინამო“ (მინსკი), „ლოკომოტივი“ (მოსკოვი).

ყველა შეხვედრა მოხდება მოსკოვში ერთ წრედ.

ამ შეჯიბრებაში გამარჯვებულ გუნდს მიენიჭება სსრ კავშირის 1952 წლის ჩემპიონის წოდება ფეხბურთში. (საკდესი).

მეშახტის დღის წინ

# დონბასელ მეშახტეთა გამოცდილების გამოყენებით

[illegible] ...ნი წარმოების კულტურის ამაღლების გზით, ციკლური გრაფიკით მუშაობაზე გადასვლასთან დაკავშირებით ავითვისოთ ახალი ტექნოლოგიური რეჟიმი და ამის საფუძველზე უზრუნველვყოთ ქვანახშირის ამოღების შემდგომი განუხრელი გადიდება.

ცნობილია, რომ ქვანახშირის მრეწველობაში ყოველივე ახლისა და პროგრესულის კერას დონბასი წარმოადგენს. მიუხედავად იმ უდიდესი ნგრევისა, რაც დონბასმა დროებითი ოკუპაციის პერიოდში ჰიტლერელი ბარბაროსებისაგან განიცადა, იგი ბოლშევიკური პარტიის ხელმძღვანელობით აღორძინდა და კვლავ ითვლება ჩვენი სამშობლოს ქვანახშირის წამყვან აუზად, ამასთან ომამდელთან შედარებით გაცილებით მეტ სათბობს იძლევა.

საქართველოს მეშახტეთაგან „ვოროშილოვგრადუგოლის" კომბინატის მეშახტეებთან გაჩაღებულ სოციალისტურ შეჯიბრებაში აქტიურად მონაწილეობს და ჩვენი უფროსი ძმების —დონბასელი მეშახტეების მოწინავე მეთოდებს მუშაობაში ფართოდ ნერგავს ტყვარჩელქვანახშირის ტრესტის სტალინის სახელობის შახტის კოლექტივი. ჩვენ დავიწყეთ მიწისქვეშა ტრანსპორტის ძირეული რეკონსტრუქცია. განვახორციელეთ დასატვირთი პუნქტების მექანიზაცია, გავაუმჯობესეთ გაგორება მთავარ საზიდ შტრეკებში, განსაკუთრებული ყურადღება მივაქციეთ ბრიგადების დაკომპლექტებას, სამუშაო ადგილებზე ადამიანთა განაწილებას. ციკლური გრაფიკით მუშაობაზე გადაყვანილი უბნების სათავეში დავაყენეთ გამოცდილი სამთო ინჟინრები ამხ. წულეისკირი და გუგუშვილი, მოწინავე სამთო ოსტატები ამხ. კოსტიუჩენკო და ჩიხლაძე. ადგილობრივი პრესისა და კედლის გაზეთების ფურცლებზე, სპეციალურად შექმნილ სემინარებზე მეშახტეებს დაწვრილებით გავაცანით ციკლური გრაფიკის მნიშვნელობა და უპირატესობა, ხოლო სათანადო მომზადების შემდეგ გასული წლის ივლისში სტალინის სახელობის შახტის პირველი ორი უბანი მუშაობის ახალ სისტემაზე გადავიყვანეთ.

განსაკუთრებით წარმატებით დანერგეს ციკლური გრაფიკი ლ. წულეისკირის უბანში. ამხ. ლ. წულეისკირი, რომელმაც პრაქტიკული მუშაობის დიდი სკოლა გაიარა დონბასის დიმიტროვის სახელობის № 5-6 შახტში ციკლურობის საუკეთესო ოსტატთან, სოციალისტური შრომის გმირ ამხ. ი. ი. ბროდკოსთან, გულდასმით უგდებს ყურს მუშათა თვითეულ წინადადებასა და რჩევას, აღუძრავს მათ ახალი ტექნიკისადმი ინტერესს.

ციკლური გრაფიკით მომუშავე მე-9 უბანში მეშახტეებმა [illegible] ქვანახშირის კომბაინი „დონბასი". [illegible] თვიური გამომუშავება 12 ათას ტონამდე გაადიდონ.

კომბაინის ათვისების პროცესში ლავის კოლექტივმა მთელი რიგი სიახლენი განახორციელა. გეოლოგიური პირობებით კომბაინი ქვანახშირის ამოღებას იწყებს ლავის ზედა ნაწილიდან და თანდათანობით ეშვება დაბლა. პირველ ხანებში ძლიერ დიდი დრო სჭირდებოდა მანქანის ამოტანას. კომბაინიანი ლავის მომსახურე ბრიგადას უძნელდებოდა მუშაობა. იყო დღეები, როდესაც მანქანის ამოღებას მთელი ცვლა უნდებოდა, ზოგჯერ კი მეტიც. ცხადია, ასეთი ტემპით ციკლური გრაფიკით მუშაობაზე ლაპარაკიც ზედმეტი იყო. შევუდექით მანქანის ამოღების დაჩქარების საშუალებათა გამონახვას. კომბაინერებმა ამხ. ჩეკალინმა და პოპოვმა კომბაინს გაუკეთეს სპეციალური ციგა-თხილამური. ამ მარტივი მოწყობილობით შესაძლებელი გახდა სამჯერ შეგვემოკლებინა მანქანის ამოღების დრო.

გასული წლის ბოლოს შახტის კომბაინიანი ლავა დაათვალიერეს დონბასელმა მექანიზატორებმა — სამთო ოსტატებმა და უბნების უფროსებმა. ისინი დაწვრილებით გაეცნენ კომბაინის მუშაობას და ბევრი ძვირფასი რჩევა მოგვცეს.

რაც უფრო მეტ გამოცდილებას ვიძენდით, მით უფრო გაბედულად და მეტი რაოდენობით გადაგვყავდა დანარჩენი ლავებიც ციკლურ გრაფიკზე. ახლა სტალინის სახელობის მთელი შახტი მუშაობს გრაფიკით—ერთი ციკლი დღეღამეში და ყველა ლავა თვალსაჩინო გადაჭარბებით ასრულებს ციკლურობის ნორმატივებს, შახტი გვაძლევს გაცილებით მეტ ქვანახშირს. ამავე დროს ჩვენ გავათავისუფლეთ ორასამდე მეშახტე, რომლებიც სხვა შახტებში იქნა გადაყვანილი. გაუმჯობესდა სათბობის ხარისხიც.

15 ივნისს სტალინის სახელობის შახტმა შეასრულა ნახევარი წლის გეგმა და მას შემდეგ სამეურნეო წლის მეორე ნახევრის ანგარიშში მუშაობდა.

სტალინის სახელობის შახტის კოლექტივი, რომელიც აღჭურვილია მშობლიური მოწინავე ტექნიკით, ფართოდ ნერგავს ჩვენი დონბასელი თანამოძმეების მუშაობის გამოცდილებას, დღითიდღე აძლიერებს ქვანახშირის ამოღებისა და მოსამზადებელ სამუშაოთა ტემპს და ყოველ ღონეს ხმარობს იმისათვის, რომ გაანაღდოს დიდი სტალინისათვის მიცემული პირობა.

**გ. მიქაშავიძე,**
ტყვარჩელქვანახშირის ტრესტის სტალინის სახელობის შახტის უფროსი, III რანგის სამთო დირექტორი.



რუსთავი. ამიერკავკასიის მეტალურგიული ქარხნის მარტენის საამქროში. მოწინავე მეფოლადე ა. ფანცულაია მუშაობის დროს. ფოტო ვ. გინზბურგისა.

# ფოლადსასხმელი არხის გამზადების ჩქაროსნული მეთოდი

რუსთავის მეტალურგიული ქარხნის მარტენის საამქროში წარმოების ნოვატორთა რიგებს ემატებიან ახალი ადამიანები, რომლებიც მუშაობის გაუმჯობესებული მეთოდების შემუშავებით საგრძნობლად ადიდებენ შრომის ნაყოფიერებას. უკანასკნელ ხანს ამ მხრივ განსაკუთრებით ისახელა თავი მარტენის საამქროს მეარხეთა ბრიგადის ხელმძღვანელმა ვ. ფირცხალავამ. მისი ბრიგადის ახლებურად მუშაობის ღირსება იმაში მდგომარეობს, რომ ყოველდღიურ საწარმოო დავალებათა 30-40 პროცენტის გადაჭარბებით შესრულებასთან ერთად უზრუნველყო გამოშვებული ფოლადის ხარისხის გაუმჯობესებაც.

საამქროს დანარჩენ ბრიგადებთან შედარებით ვ. ფირცხალავას ბრიგადა ფოლადსასხმელი არხის გამზადებას ერთი საათით ადრე ახერხებს. ამასთან ყველა საწარმოო ოპერაცია მაღალხარისხოვნად და ტექნოლოგიური წესების ზუსტი დაცვით სრულდება.

ამ წარმატებას ბრიგადა იმის შედეგად აღწევს, რომ მეარხეთა შორის მოფიქრებულად არის განაწილებული სამუშაო, თვითეულ მათგანს წინასწარ ზუსტად აქვს მიჩენილი ყველა საჭირო ინსტრუმენტით მომარაგებული სამუშაო ადგილი.

მეარხეთა ვ. ფირცხალავას ბრიგადას მიკუთვნებული აქვს საუკეთესო ბრიგადის სახელწოდება და გარდამავალი წითელი დროშა. ამჟამად მარტენის საამქროში შექმნილია სტახანოვური სკოლა, სადაც ახალგაზრდა მეტალურგები ვ. ფირცხალავას ბრიგადის ნოვატორული მუშაობის მეთოდს სწავლობენ.

**გ. გელაშვილი,**
„კომუნისტის" საკ. კორესპონდენტი.

# მოსკოველ ნოვატორთა მაგალითისამებრ

ბათუმის თამბაქოს ფაბრიკის კოლექტივი გულდასმით გაეცნო მოსკოვის ფეხსაცმლის ფაბრიკა „ბურევესტნიკის" სტახანოველების ამხ. მ. ლევჩენკოსა და გ. მუხანოვის თაოსნობას თვითეულ საწარმოო ოპერაციაზე თვითღირებულების შემცირებისათვის სოციალისტური შეჯიბრების გაჩაღების დარგში.

მოსკოველთა ზემოაღნიშნული წამოწყების ჩვენს საწარმოში გავრცელების მიზნით ეს საკითხი დაწვრილებით განვიხილეთ ჯერ ფაბრიკის ხელმძღვანელობის, ანგარიშწარმოების და საგეგმო დარგის მუშაკთა თათბირზე, ხოლო შემდეგ ფაბრიკის მუშათა კრებაზე. გადაწყდა გაგვეჩაღებინა შეჯიბრება თვითეულ საწარმოო ოპერაციაზე პროდუქციის თვითღირებულების შემცირებისათვის.

მოსამზადებელი სამუშაოს შესრულების შემდეგ შევუდექით ამ თაოსნობის ჩვენი ფაბრიკის პირობებში პრაქტიკულად განხორციელებას.

ფაბრიკის ძირითად საამქროთა ყველა მუშა ჩაება თვითეულ საწარმოო ოპერაციაზე თვითღირებულების შემცირებისათვის გაშლილ სოციალისტურ შეჯიბრებაში. შეჯიბრებულთა ვალდებულებანი ითვალისწინებენ: ნედლეულის, მასალებისა და ნახევარფაბრიკატების ეკონომიას, შრომის ნაყოფიერების ამაღლებას, ზედნადები ხარჯების შემცირებას, თავიანთ ოპერაციაზე თვითღირებულების შემცირებას.

მთელ ფაბრიკაში შეჯიბრების რვა თვის შედეგები შემდეგ სურათს გვაძლევს: გასული წლის მეოთხე კვარტალში მივიღეთ 14.700 მანეთი ეკონომია, ხოლო ამა წლის 5 თვეში — 26.250 მანეთი. შარშან სამ თვეში დაზოგილია 800 კილოგრამი თამბაქო და 3 ათასი კვადრატული მეტრი საჭილზე ქაღალდი, წელს ხუთ თვეში — 1.400 კილოგრამი თამბაქო და 2.800 კვადრატული მეტრი საჭილზე ქაღალდი.

თვითეულ საწარმოო ოპერაციაზე თვითღირებულების შემცირებისათვის გაჩაღებულ შეჯიბრებაში საუკეთესო შედეგები მოიპოვეს თამბაქოს საამქროში — ე. ძნელაძემ, ვ. მუხატიანმა, ვ. ჩვიჩიამ და გ. პუზანოვამ; საჭილზე საამქროში—ნ. უსატენკომ, ლ. გრანოვსკიამ, ა. ვახრატიანმა; პაპიროსის დამტენ საამქროში—მ. ტერეხოვამ, ე. კოვალიოვამ, ა. პოლოსოვამ, ლ. ბარჩუკოვამ; მუყაოს საამქროში — მ. ხათირიძემ, ფ. მამლეევამ, ტ. დავიდოვამ; ტარის საამქროში მ. ზურაბიანმა და ა. ლეშკაშელმა.

ფაბრიკის კოლექტივი მიღწეული წარმატებებით არ დაკმაყოფილდება. იგი უფრო მეტი ენერგიით განაგრძობს ბრძოლას თვითეულ საწარმოო ოპერაციაზე პროდუქციის თვითღირებულების შემცირებისათვის.

**ქ. ვარდანაშვილი,**
ბათუმის თამბაქოს ფაბრიკის დირექტორი.

პრესის მიმოხილვის მაგიერ

# მამხილებელი სიგნალები და მათი ბედის შესახებ

თამარაშენში სისტემატურად ირღვეოდა კოლმეურნეობის მართვის დემოკრატიული პრინციპები, ამახინჯებდნენ საკოლმეურნეო ცხოვრების უმაღლეს კანონს — სასოფლო-სამეურნეო არტელის წესდებას, იტაცებდნენ საკოლმეურნეო მიწას. ეს აღაშფოთებდა სტალინირის რაიონის სოფელ თამარაშენის მახარაძის სახელობის კოლმეურნეობის პატიოსან ადამიანებს. ისინი ამის შესახებ ხშირად აძლევდნენ სიგნალებს რაიონის ხელმძღვანელ ორგანოებს... მაგრამ მათ სიგნალებს ყურადღებას არავინ აქცევდა.

გასული წლის მაისში თამარაშენის კოლმეურნეობის ხელმძღვანელების დანაშაულებრივი საქმიანობა ამხილა გაზეთმა **„საბჭოთა ოსეთმა"**. გაზეთმა გამოამჟღავნა ნაკლოვანებანი, შეცდომები და დამახინჯებანი, გამოააშკარავა კოლმეურნეობაში შექმნილი უმსგავსო მდგომარეობის გამომწვევი მიზეზები, მიუთითა კონკრეტულ დამნაშავეებზე, განსაკუთრებით კი იმათზე, ვისაც საკოლმეურნეო მიწების დატაცებით, სპეკულაციით დეზორგანიზაცია შეჰქონდა კოლმეურნეობაში.

გაზეთის სიგნალს არავინ გამოეხმაურა. საკოლმეურნეო ცხოვრების დეზორგანიზატორები შემოდგომაზე კვლავ გავიდნენ მიტაცებულ ნაკვეთებში, ბაღ-ვენახებში, აღებული მოსავალი შინ წაიღეს. წამგლეჯთა შორის იყვნენ ისეთებიც, რომლებსაც კოლმეურნეობასთან საერთო არა ჰქონდათ რა და ცხოვრობდნენ ზოგი თბილისში, ზოგი სტალინირში და ზოგი კიდევ ვინ იცის სად.

სტალინირის რაიონის ხელმძღვანელ მუშაკებს გაზეთის სიგნალისადმი ბიუროკრატიული დამოკიდებულება რომ არ გამოეჩინათ, სოფელ თამარაშენში ვერ იპარპაშებდნენ საკოლმეურნეო წყობილების მტრები.

დავასახელებთ მეორე მაგალითს:

გასული წლის 11 დეკემბერს „საბჭოთა ოსეთის" ფურცლებზე დაიბეჭდა კრიტიკული წერილი „სასტიკად დავსაჯოთ საზოგადოებრივი პირუტყვის დამტაცებლები და გამნიავებლები". ამ წერილში მხილებული იყო სოფელ ტბეთის ბერიას სახელობის და სოფელ სარაბუკის ვოროშილოვის სახელობის კოლმეურნეობათა მეცხოველეობის ფერმებში გამეფებული უმსგავსოება. წერილში აღნიშნული იყო, რომ როგორც ტბეთის კოლმეურნეობის თავმჯდომარე ს. გაგლოევი, ისე სარაბუკის კოლმეურნეობის თავმჯდომარე გ. არსოევი თვითნებურად ყიდულობდნენ და ყიდდნენ საზოგადოებრივ პირუტყვს, ხელს აფარებდნენ აშკარა დამნაშავეებს, რომლებიც იტაცებდნენ რა პირუტყვს, დიდ ზიანს აყენებდნენ კოლმეურნეობას.

პარტიის სტალინირის რაიკომის ბიურომ იმავე დღეს, 11 დეკემბერს, განიხილა ტბეთის კოლმეურნეობის თავმჯდომარის, პარტიის წევრ ს. გაგლოევის საკითხი და მეცხოველეობის გეგმების შეუსრულებლობისათვის მას სასტიკი საყვედური გამოუცხადა სააღრიცხვო ბარათში შეტანით. საზოგადოებრივი პირუტყვის დატაცება-განიავებაში მისი მონაწილეობის შესახებ ერთი სიტყვაც არ თქმულა ბიუროს სხდომაზე. ისარგებლეს რა ამ შეღავათით, დამნაშავეებმა მითვისებულ 18 სულ მსხვილფეხა რქიან და 16 სულ წვრილფეხა პირუტყვზე შეადგინეს ყალბი აქტები.

მიმდინარე წლის 11 თებერვალს რაიკომის ბიურო ისევ დაუბრუნდა ს. გაგლოევის საკითხს. ამჯერად ბიურომ რჩევა მისცა საერთო კრებას კოლმეურნეობის თავმჯდომარეობიდან გაეთავისუფლებინა ს. გაგლოევი... ავადმყოფობის გამო.

გასული წლის 18 აგვისტოს გაზეთ „საბჭოთა ოსეთში" გამოქვეყნდა წერილი „სოფელ მახისში ცუდად მუშაობენ". წერილში მხილებული იყო არტელის სტალინური წესდების უხეშად დამახინჯების მრავალი ფაქტი. ეს წერილი რაიკომის ბიურომ მხოლოდ მიმდინარე წლის 2 თებერვალს განიხილა და, დაივიწყა რა გაზეთის როლი, ოქმში სრულიად არ მოიხსენია გაზეთის სიგნალი. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ბიურომ საკუთარ გადაწყვეტილებასაც არ მიადევნა თვალყური. მაგალითად, რაიკომის ბიურომ რაიონის პროკურატურას დაავალა სასწრაფოდ გამოეძიებინა მახისის კოლმეურნეობაში არტელის წესდების დარღვევის ფაქტები და დამნაშავენი პასუხისგებაში მიეცა. მაგრამ ამ დადგენილების მიღებიდან თითქმის ხუთმა თვემ განვლო, ხოლო საქმეს ბოლო არ უჩანს.

გაზეთის როლს სათანადოდ ვერ აფასებს პარტიის რაიკომის და რაისაბჭოს აღმასკომის ბევრი პასუხისმგებელი მუშაკი.

პარტიის რაიკომის პირველ მდივანს ამხ. გ. სანაკოევს (ახლა იგი პარტიის საოლქო კომიტეტის განყოფილების გამგედ მუშაობს) მიმდინარე წლის 12 მაისს გადასცეს წერილი: „ქვემოდან მომდინარე კრიტიკას მხარს არ უჭერენ". ამ კორესპონდენციაში საოლქო გაზეთი აღნიშნავდა, რომ სოფელ დისევ-კულბეთის კოლმეურნეობაში პატივისცემით არ სარგებლობს კრიტიკა ქვემოდან. კოლმეურნეობის კომკავშირული ორგანიზაციის კედლის გაზეთმა „კომკავშირელმა" ამხილა მეცხოველეობის ფერმაში არსებული ნაკლოვანებანი, მიუთითა კონკრეტულ დამნაშავეებზე, ამასთან სამართლიანად მოითხოვა მათი დასჯა.

კედლის გაზეთის ხმას არავინ დაუგდო ყური. საოლქო გაზეთი გმობდა კრიტიკისადმი ასეთ დამოკიდებულებას. მოსალოდნელი იყო, რომ გაზეთის სამართლიან გამოსვლას მხარს დაუჭერდა რაიკომი. რაიკომის მდივანმა გ. სანაკოევმა რედაქციიდან მიღებული წერილი შესამოწმებლად და ზომების მისაღებად გადასცა რაიკომის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების ინსტრუქტორს ამხ. შ. ბასიშვილს. ინსტრუქტორმა არ უღალატა რაიკომში დამკვიდრებულ ჩვეულებას და გაზეთის შენიშვნა მაუდქვეშ ამოსდო. მიუხედავად შეხსენებისა, რედაქციას დღემდე არავითარი პასუხი არ მიუღია.

აღნიშნული ფაქტები ცხადყოფს, რომ პარტიის სტალინირის რაიკომში და რაისაბჭოს აღმასკომში პატივს არ სცემენ პრესის სიგნალებს. რაიკომი და რაიაღმასკომი, არ აფასებენ რა კრიტიკის და მისი შედეგების განზოგადების დიდ მნიშვნელობას, ამით ბოჭავენ მასების შემოქმედებითს აქტივობას, ადუნებენ ადამიანთა პასუხისმგებლობას ნაკლოვანებათა გამოსწორებისათვის ბრძოლაში.

აქვე უნდა ითქვას, რომ გაზეთ „საბჭოთა ოსეთის" რედაქციაც ვალდებულია მეტი სიმტკიცე გამოიჩინოს კრიტიკული სიგნალების შედეგიანობისათვის ბრძოლაში, სისტემატურად, გაბედულად წეროს მათზე, ვინც მხარს არ უჭერს კრიტიკას და ამით აჩლუნგებს ჩვენი წინსვლის მძლავრ იარაღს.

# შიფერი გეგმის გადამეტებით

წარმატებით ასრულებს ნაკისრ ვალდებულებას კასპის შიფერის ქარხნის კოლექტივი. ქარხანამ ნახევარი წლის გეგმა 10 ივნისისათვის შეასრულა და თვის ბოლომდე გეგმის გადამეტებით სამშობლოს მისცა ასეულ ათასობით ცალი შიფერი. მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა პროდუქციის ხარისხი, ამასთან ცემენტის ხარჯვა შემცირდა 4,4 პროცენტით, აზბესტისა—13 პროცენტით.

თვალსაჩინო წარმატებებს აღწევს ის ცვლა, რომელსაც ახალგაზრდა ინჟინერი ც. კალაძე ხელმძღვანელობს. მოწინავე ცვლამ ივნისის გეგმა ვადაზე 6 დღით ადრე 119 პროცენტით გაანაღდა.

**ე. გულვერდაშვილი,**
კასპის რაიონული გაზეთის რედაქტორი.

# კოლმეურნეობისადმი უმსგავსო ხელმძღვანელობის შედეგი

სოფელ ტანძიის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობის წევრთა საერთო კრებამ მიმდინარე წლის 22 თებერვალს განიხილა გამგეობის მუშაობის ანგარიში. კოლმეურნეებმა ჯ. ისმაილოვმა, გ. აბრამიშვილმა, კ. შვეიბოლიმ და სხვებმა მკაცრად გააკრიტიკეს გამგეობის მუშაობა, წინადადება შეიტანეს არადამაკმაყოფილებლად შეეფასებინათ მისი მუშაობა, გადაეხალისებინათ გამგეობა. მაგრამ ასე არ მოხდა.

კრებას ესწრებოდნენ საქართველოს კ. პ. (ბ) ბოლნისის რაიკომის მდივანი ამხ. ი. კაციტაძე და რაიკომის სასოფლო-სამეურნეო განყოფილების გამგე ამხ. ა. ფარაჯევი. მათი წინადადებით კრებამ (მისმა უმცირესობამ) გამგეობის მუშაობა დამაკმაყოფილებლად შეაფასა, ამასთან ამხ. ფარაჯევმა დააყენა საკითხი გამგეობის შემადგენლობიდან გამოეყვანათ პ. მაღრაძე, მის მაგივრად გამგეობის წევრად და კოლმეურნეობის თავმჯდომარის მოადგილედ შვიდი თვით აერჩიათ (!) დაბა ბოლნისის მცხოვრები, პარიკმახერი გივი მაღრაძე. ამ წინადადებამ კოლმეურნეთა განცვიფრება გამოიწვია. გამგეობის შემადგენლობიდან პ. მაღრაძის გამოყვანას მხარი არავინ დაუჭირა, გ. მაღრაძის არჩევის მომხრე კი მხოლოდ ერთი კაცი აღმოჩნდა. უკანასკნელი მაინც არჩეულად ჩათვალეს (!) და იგი 28 მაისამდე „მოღვაწეობდა" ტანძიაში.

საინტერესოა ერთი ფაქტიც: კრების ოქმში გ. მაღრაძის გამგეობის შემადგენლობაში შეყვანისა და თავმჯდომარის მოადგილედ არჩევის შესახებ არაფერია ნათქვამი.

პარტიის რაიკომისათვის და მით უფრო ამხ. ა. ფარაჯევისათვის ცნობილი იყო, რომ გ. მაღრაძეს არ შესწევდა უნარი გაძღოლოდა კოლმეურნეობას უცოდინარობისა და გამოუცდელობის გამო, ისიც იცოდნენ, რომ მაღრაძე სამი წლის წინათ დაბა ბოლნისის კიროვის სახელობის კოლმეურნეობაში მუშაობდა მეცხვარეობის ფერმის გამგედ და სამი თვის განმავლობაში 23 სული ცხვარი „შემოეხარჯა".

პარტიის რაიკომი ფიქრობდა რეკომენდაცია მიეცა გ. მაღრაძისათვის ტანძიის კოლმეურნეობის თავმჯდომარედ ასარჩევად, მაგრამ რაკი იცოდნენ კოლმეურნეთა აზრი მაღრაძის შესახებ, დროებით თავი შეიკავეს და მხოლოდ მოადგილედ წამოაყენეს. ფაქტიურად მაღრაძე 28 მაისამდე კოლმეურნეობაში როგორც თავმჯდომარის, ისე მოადგილის ფუნქციებს ასრულებდა, რადგანაც კოლმეურნეობის თავმჯდომარე ს. ავქოფაშვილი 1 აპრილიდან სოფელ ბალიჭის კოლმეურნეობის თავმჯდომარედ მუშაობდა.

რით „ასახელა" გ. მაღრაძემ თავისი „დამწინაურებლები"? კოლმეურნეობაში გაჭიანურდა საგაზაფხულო თესვა, საანეულო ხვნას შეუდგნენ 28 მაისიდან, ე. ი. გ. მაღრაძის „მოღვაწეობის" შეწყვეტის დღეს, მოუვლელობით დაიხოცა 17 სული მსხვილფეხა რქიანი პირუტყვი, 8 ხბო, 169 ცხვარი და რვა ცხენი. მოკლე ხანში სამი გამგე შეუცვალეს მეცხენეობის ფერმას და ძნელი გასარკვევია, ვის ხელში დაიკარგა კოლმეურნეობის 4 ცხენი. პირადად გ. მაღრაძემ მოკლე დროში „მოასწრო" 2.744 მანეთის და 338 კილოგრამი კარტოფილის მითვისება, ვიღაც შოფერს აჩუქა კოლმეურნეობის ერთი ბატკანი და 11 კილოგრამი ყველი, თვითონ ავანსად წაიღო 334 კილოგრამი მარცვლეული, მაშინ როცა შრომადღეები არ ჰქონდა გამომუშავებული.

კოლმეურნეები არ იცნობენ საწარმოო გეგმას, რადგან იგი საერთო კრებაზე არ განუხილავთ და არც დაუმტკიცებიათ. კოლმეურნეობაში გაერთიანებულია 135 კომლი. წესით აქ თავმჯდომარის მოადგილე არ ეკუთვნით, მაგრამ რაისაბჭოს აღმასკომის 1952 წლის 13 მარტის დადგენილებით კოლმეურნეობის საწარმოო გეგმაში გათვალისწინებულია თავმჯდომარის მოადგილის შტატი 7 თვით, ამასთან მას 420 შრომადღე უნდა დაერიცხოს.

რაისაბჭოს აღმასკომის არასწორი დადგენილებით თავმჯდომარის მოადგილეთა შტატი სხვა ისეთ კოლმეურნეობებსაც მიეცათ, რომელთაც იგი არ ეკუთვნით. ამრიგად, უკანონოდ იხარჯება ასობით შრომადღე. როგორც ჩანს, რაისაბჭოს აღმასკომის ხელმძღვანელი მუშაკები, პირადად მისი თავმჯდომარე ამხ. მ. ყულიევი არ ასრულებენ პარტიისა და მთავრობის სავალდებულო დადგენილებას. რაისაბჭოს აღმასკომის სოფლის მეურნეობის განყოფილების გამგე ამხ. ი. ლომინეიშვილი, რომლისთვისაც ეს დამახინჯებანი კარგა ხანია ცნობილია, რაიკომის მდივნისა და რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის სახელზე მოხსენებითი ბარათების წერით იზღვევს თავს და ქმედითს ზომებს არ იღებს ხელოვნურად შექმნილი შტატების გასაუქმებლად.

ბოლნისის რაიონის ზოგიერთ სხვა კოლმეურნეობაშიც მახინჯდება არტელის წესდება. მაგალითად, პარტიის რაიკომში და რაისაბჭოს აღმასკომში შესულია სიგნალები, რომ სოფელ დარბაზის მიქოიანის სახელობის კოლმეურნეობაში უხეშად ირღვევა არტელის სტალინური წესდება, კოლმეურნეობის თავმჯდომარე ა. შახბადიანი და სხვები ითვისებენ საკოლმეურნეო დოვლათს, მაგრამ ამ მდგომარეობის შესწავლისათვის თავს არავინ იწუხებს.

კოლმეურნეობისადმი ხელმძღვანელობის ასეთი მანკიერი სტილი ძირს უთხრის საკოლმეურნეო წყობას, საქმეს ვნებს. პარტიის რაიკომის და რაისაბჭოს აღმასკომის ხელმძღვანელმა მუშაკებმა დაუყოვნებლივ უნდა უკუაგდონ მუშაობის ეს უვარგისი სტილი, სრული წესრიგი დაამყარონ რაიონის ყველა კოლმეურნეობაში, მიიღონ მკაცრი ზომები საკოლმეურნეო ქონების მიმთვისებლებისა და გამნიავებლების მიმართ.

**ვ. ხოფერია,**
„კომუნისტის" საკ. კორესპონდენტი.

# ჩინეთის სოფლის მეურნეობის მუშაკთა დელეგაცია საქართველოში

ჩინეთის სოფლის მეურნეობის მუშაკთა დელეგაცია, რომელიც საქართველოში იმყოფება, 11 დღის განმავლობაში ეცნობოდა ამოსავლეთ საქართველოს რაიონების კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების, მანქანა-ტრაქტორთა სადგურებისა და სამეცნიერო-საკვლევი დაწესებულებების მუშაობას.

სტუმრები იყვნენ ლაგოდეხის საყრდენ-საჩვენებელ მანქანა-ტრაქტორთა სადგურში, ლაგოდეხის რაიონის კოლმეურნეობა „შრომაში", საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მევენახეობისა და მეღვინეობის სამეცნიერო-საკვლევ ინსტიტუტში, თელავისა და აფენის მტს-ებში, თელავის რაიონის სოფელ აკურის კოლმეურნეობა „მოწინავეში", თელავის რაიონის სოფელ კურდღელაურის ენგელსის სახელობის კოლმეურნეობაში, წინანდლის ლენინის ორდენოსან მევენახეობის საბჭოთა მეურნეობაში, თელავის ისტორია-ეთნოგრაფიის მუზეუმში. კოლმეურნეები, მტს-ებისა და საბჭოთა მეურნეობების მუშაკები ყველგან გულთბილად და სიხარულით ხვდებოდნენ სტუმრებს.

ჩინელი გლეხები ესაუბრებოდნენ საკოლმეურნეო სოფლის წარჩინებულ ადამიანებს.

სასოფლო-სამეურნეო კულტურების უხვი მოსავლისათვის, მოწინავე საბჭოთა აგროტექნიკის საკოლმეურნეო წარმოებაში დანერგვისათვის ბრძოლის გამოცდილება გაუზიარეს სტუმრებს კოლმეურნეობა „შრომის" ბრიგადირმა სოციალისტური შრომის გმირმა ა. ინაშვილმა, ამ კოლმეურნეობის მერგოლეურმა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატმა სოციალისტური შრომის გმირმა მ. ქემაშვილმა, კოლმეურნეობა „შრომის" მეცხოველეობის ფერმის გამგემ სოციალისტური შრომის გმირმა ს. ბლიაძემ, წინანდლის საბჭოთა მეურნეობის დირექტორმა სოციალისტური შრომის გმირმა ი. ჩარკვიანმა, კოლმეურნეობა „მოწინავის" თავმჯდომარემ სოციალისტური შრომის გმირმა ს. პაატაშვილმა, სოფელ კურდღელაურის ენგელსის სახელობის კოლმეურნეობის აგრონომმა სტალინური პრემიის ლაურეატმა ს. მახათელაშვილმა, თელავის მტს-ის კომბაინერმა ლ. შიუკაშვილმა, მევენახეობისა და მეღვინეობის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის მეცნიერმა მუშაკებმა და სხვებმა.

ჩინელი სტუმრები დაესწრნენ მინდვრად მუშაობას, როცა თელავის, ლაგოდეხისა და სხვა მანქანა-ტრაქტორთა სადგურების კომბაინები იღებდნენ მარცვლეული კულტურების უხვ მოსავალს.

ამ მგზავრობიდან დაბრუნების შემდეგ დელეგაცია გაემგზავრა ი. ბ. სტალინის სამშობლოში—ქალაქ გორში, ხოლო იქიდან გაემგზავრება დასავლეთ საქართველოს რაიონებში, სადაც ინახულებს ჩაის, ციტრუსოვანი და სხვა სუბტროპიკული კულტურების პლანტაციებს, ესტუმრება კოლმეურნეობებს, საბჭოთა მეურნეობებს, სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-საკვლევ დაწესებულებებს. (საქინფორმი).

საქართველოს პროფსაბჭოს პრეზიდიუმში

# საერთო საცხოვრებლების საზოგადოებრივი დათვალიერება

საქართველოს პროფსაბჭოს პრეზიდიუმმა მოისმინა საერთო საცხოვრებლების საზოგადოებრივი დათვალიერების მიმდინარეობის საკითხი. პრეზიდიუმმა აღნიშნა, რომ დათვალიერების შესახებ პროფსაბჭოს პრეზიდიუმის ამა წლის 30 აპრილის დადგენილებას არადამაკმაყოფილებლად ახორციელებენ ადგილობრივი მრეწველობისა და სამკერვალო და სატრიკოტაჟო მრეწველობის მუშათა პროფკავშირების რესპუბლიკური კომიტეტები.

სამკერვალო და სატრიკოტაჟო მრეწველობის მუშათა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტი დაკმაყოფილდა საფაბრიკო-საქარხნო კომიტეტებისათვის მხოლოდ წერილების გაგზავნით.

ადგილობრივი მრეწველობის მუშათა პროფკავშირის რესპუბლიკურმა კომიტეტმა აღნიშნული საკითხი მხოლოდ 30 მაისს განიხილა პრეზიდიუმის სხდომაზე. ამა წლის 19 ივნისს, შემოწმებისას, თბილისის 26 კომისრის სახელობის მანქანათმშენებელი ქარხნის საქარხნო კომიტეტში აღნიშნული დადგენილება არ აღმოჩნდა და ფაქტიურად დათვალიერება დაწყებული არ იყო. ასეთივე მდგომარეობაა კალინინის სახელობის ქარხანაში.

პირველი და მეშვიდე სამკერვალო ფაბრიკების და სართავ-სატრიკოტაჟო კომბინატის საფაბრიკო კომიტეტები თუმცა ივნისის მეორე ნახევარში შეუდგნენ დათვალიერებას, მაგრამ ისინი ფორმალურად მიუდგნენ ამ საქმეს, არ დარაზმეს საზოგადოებრიობა, საკითხი არ განიხილეს საფაბრიკო კომიტეტების სხდომებზე და დაკმაყოფილდნენ ამ საქმის საბინაო-საყოფაცხოვრებო კომისიებისათვის მინდობით.

შემოწმებამ გამოავლინა, რომ სატრიკოტაჟო კომბინატის საერთო საცხოვრებლები შესაკეთებელია. ბევრ ოთახში არ ჰყოფნით ინვენტარი. მე-7 სამკერვალო ფაბრიკის საერთო საცხოვრებლებში მდგმურებს შორის მასობრივ-აღმზრდელობითი მუშაობა არ წარმოებს. 1-ლი სამკერვალო ფაბრიკის საერთო საცხოვრებლის სახურავი შესაკეთებელია. 26 კომისრის სახელობის ქარხნის საერთო საცხოვრებლებში არა აქვთ საერთო სამზარეულოები, ნივთების შესანახი სათავსები და წითელი კუთხეები, ეზო შემოუღობავი და კეთილმოუწყობელია. ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროს მექანიკური ქარხნის საერთო საცხოვრებელი (ხახანაშვილის ქ. № 2) ქაოსურ მდგომარეობაშია. ოთახებში იატაკი უვარგისია, სახურავში წვიმა ჩადის, შენობა კაპიტალურ შეკეთებას საჭიროებს. ყველა შემოწმებულ საერთო საცხოვრებელში აღმზრდელობითი მუშაობა დაბალ დონეზეა.

პროფსაბჭოს პრეზიდიუმმა ადგილობრივი, სამკერვალო და სატრიკოტაჟო მრეწველობის მუშათა პროფკავშირების რესპუბლიკურ კომიტეტებს დაავალა საჭირო ღონისძიებანი გაატარონ პროფსაბჭოს პრეზიდიუმის 30 აპრილის დადგენილების შესასრულებლად, პრაქტიკული დახმარება გაუწიონ საფაბრიკო-საქარხნო კომიტეტებს და უზრუნველყონ ყველა საწარმოს საერთო საცხოვრებლის საზოგადოებრივი დათვალიერების მოწყობა.

პროფკავშირთა ყველა რესპუბლიკურ და საფაბრიკო-საქარხნო კომიტეტს წინადადება მიეცა პროფკავშირული აქტივის ყურადღება გაამახვილონ საერთო საცხოვრებლების საზოგადოებრივი დათვალიერების მოწყობაზე.

სამინისტროებისა და უწყებების წინაშე დაისვა საკითხი, რომ მათ სათანადო მითითება მისცენ სამეურნეო ორგანიზაციებისა და საწარმოების ხელმძღვანელებს მიიღონ აუცილებელი ღონისძიებანი საერთო საცხოვრებლების სანიმუშო წესრიგზე მოსაყვანად.

დასახული ამოცანების შესრულების უზრუნველყოფის მიზნით საზოგადოებრივი დათვალიერების ვადა გაგრძელდება ამა წლის 30 ივლისამდე.

## რკინიგზის სადგური მოუწყობელია

რკინიგზის ახალციხის სამგზავრო სადგურით 5 რაიონის მშრომელები სარგებლობენ, მაგრამ იგი ოდნავაც ვერ აკმაყოფილებს მგზავრთა კულტურულ მოთხოვნილებას.

რამდენიმე ხნის წინათ ბაქანს გაუკეთეს ასფალტი, რომელიც გაცვდა და შიგ გუბეები დგება. გაუნათებელია სადგურის ირგვლივ ტერიტორია. ბაქანსა და კიბეებზე სადგურის შენობის სახურავიდან ჩამონადენი წვიმის წყალი იქაურობას ატალახებს. უსუფთაობას ქმნის აგრეთვე უკანალიზაციო საპირფარეშო.

საკმაო დრომ განვლო მას შემდეგ, რაც აქ ორსართულიანი საბარგო საწყობი აშენდა, მაგრამ დღემდე მოუწყობელია.

შარშან სადგურის კეთილმოსაწყობად გათვალისწინებული იყო 34.000 მანეთი, წელს კი 20.000 მანეთი გაითვალისწინეს. მაგრამ ამ თანხის ათვისება ვერ მოხერხდა.

ქალაქის მხრიდან სადგურს ეკვრის მოზრდილი ფართობი. სასურველი იყო ამ ფართობის შემოღობვა და გამწვანება. არც ამაზე იწუხებენ თავს. მგზავრთა სამართლიან საყვედურებს იწვევს ბუფეტის ცუდი მუშაობა.

ამიერკავკასიის რკინიგზის სამმართველომ მეტი ყურადღება უნდა მიაქციოს ახალციხის სამგზავრო სადგურს.

ე. ხარებავა,
„კომუნისტის“ საკ. კორესპონდენტი.

## ევკალიპტის სანერგე

ცხაკაია. (საკ. კორ.). საქართველოს სსრ სატყეო მეურნეობის სამინისტროს ევკალიპტის სახელმწიფო სანერგეს 81 ჰექტარი ფართობი უჭირავს. იგი ნერგებით ამარაგებს დასავლეთ საქართველოს ქარსაფარ ზოლებს. სანერგემ უკვე გასცა 1 მილიონ 70 ათასი ძირი ევკალიპტის, აგრეთვე აკაციის, ვერხვის, კაკლის, წაბლის, თუთის ნერგები.

სანერგეში წელს კვალსათბურებში დათესეს 375 კილოგრამი კვიპაროსის და კრიპტომერიის თესლი. გათვალისწინებული იყო მიეღოთ 2,4 მილიონი ნერგი. აღმონაცენიდან ჩანს, რომ ნერგები 3 მილიონამდე ძირი იქნება. ევკალიპტის გასული შემოდგომის ნათესიდან 105.000 ძირის ნაცვლად მიღებულია და ტყესაცავ სადგურებს გადაეცა 180.000 ძირი სტანდარტული ნერგი.

სანერგის კოლექტივს მიღწევად უნდა ჩაითვალოს კარგი ინიციატივა ფესვების შემოხვევით კვიპაროსისა და კრიპტომერიის ზრდის დაჩქარების დარგში. ეს წესი დღემდე გამოყენებული იყო მხოლოდ ევკალიპტების ნერგების გამოყვანაზე, სხვა მცენარეები კი ღია გრუნტში ითესებოდა. დაკვირვებათა შედეგად გამორკვეულია, რომ შემოხვევა აჩქარებს კვიპაროსისა და კრიპტომერიის ზრდას ერთი სავეგეტაციო პერიოდით, ე. ი. თუ ჩვეულებრივად ეს მცენარეები ღია გრუნტში სტანდარტულ სიმაღლეს (25 სანტიმეტრი) დათესიდან მხოლოდ მეორე წელს აღწევენ, დახურულ გრუნტში შემოხვევის წესით გამოყვანილი ნერგი სტანდარტული ერთ წელიწადში ხდება. გარდა ამისა, ქარსაფარ ზოლებზე დარგული ასეთი ნერგების გახარების პროცენტი მაღალია.

„კომუნისტის“ სიგნალის შემდეგ

## დ. ვაშაკიძის რაციონალიზატორულ წინადადებათა შესახებ

ამ სათაურით გაზეთ „კომუნისტის“ 4 ივნისის ნომერში გამოქვეყნებული იყო კორესპონდენცია, რომელიც ამხილებდა თბილისის ავტოსარემონტო ქარხანაში უსულგულო დამოკიდებულებას, რასაც ქარხნის ხელმძღვანელები იჩენდნენ ოსტატ დ. ვაშაკიძის რაციონალიზატორული წინადადებებისადმი.

პარტიის თბილისის ორგანიზაციის ლენინის რაიკომის მდივანი ამხ. გ. ტატიშვილი გვაცნობებს, რომ კორესპონდენციაში აღნიშნული ფაქტები სინამდვილეს შეეფერება. საკითხი განიხილა რაიკომის ბიურომ. რაიკომის ბიუროს დადგენილებით ქარხნის დირექტორს ამხ. გ. კიკნაძეს დაევალა დაწვრილებით შეისწავლოს რაციონალიზატორ დ. ვაშაკიძის წინადადებანი, ამასთან დააყენოს საკითხი საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტროს წინაშე ამხ. დ. ვაშაკიძისათვის კუთვნილი საავტორო თანხის მიცემის შესახებ.

# არჩევნების წინ ა. შ. შტატებში

### ამერიკის შეერთებული შტატების რესპუბლიკური პარტიის ყრილობაზე

ჩიკაგო, 8 ივლისი. (საკდესის სპეც. კორ.). გუშინ ჩიკაგოში გაიხსნა ამერიკის შეერთებული შტატების რესპუბლიკური პარტიის ყრილობა.

ყრილობა შეიკრიბა, რათა პრეზიდენტისა და ვიცე-პრეზიდენტის პოსტზე დაასახელოს რესპუბლიკური პარტიის კანდიდატები და დაამტკიცოს საარჩევნო პროგრამა. ყრილობას ესწრება ამერიკის შეერთებული შტატების 48 შტატისა და ტერიტორიების — ალასკის, ჰავაის კუნძულების, პუერტო-რიკოს და ვირგინიის კუნძულების 1.206 დელეგატი.

ამერიკის პრესა ამ ყრილობას „დიდ ამერიკულ სპექტაკლს“ უწოდებს.

ყრილობის ერთ-ერთი ძირითადი თავისებურება ის არის, რომ მისი დელეგატები არავითარი მნიშვნელობით არ არიან ამერიკელი ხალხის ან თუნდაც რესპუბლიკური პარტიის რიგითი წევრების წარმომადგენლები. დელეგატების დიდ უმრავლესობას წარმოადგენენ პარტიული ბოსები, კონცერნების იურისტები, კაპიტალისტები.

რამდენიმე კვირის წინათ დემოკრატმა სენატორმა (ილინოისის შტატი) დუგლასმა, რომელიც ახასიათებდა რესპუბლიკური და დემოკრატიული პარტიების ყრილობებს, აღიარა, რომ „ამ ყრილობების დელეგატები ფაქტიურად არ იქნებიან ხალხის წარმომადგენლები. ისინი ორივე პარტიის პროფესიონალი პოლიტიკანების წარმომადგენლები იქნებიან“. ანდა, როგორც უფრო სხარტად განაცხადა ჟურნალმა „იუნაიტედ სტეიტს ნიუს ენდ უორლდ რიპორტმა“: „იმას, თუ ვინ მიიღებს შესაძლებლობას კენჭი იყაროს პრეზიდენტის პოსტზე, წყვეტენ პოლიტიკური საქმოსნები და არა ამომრჩევლები“.

ეგრეთწოდებული „პირველადი არჩევნების“ შედეგად, რაც ყრილობამდე მოეწყო, დელეგატთაგან ცოტა ვინმე მოხვდა ყრილობაზე. 48 შტატიდან 33 შტატში დელეგატები აირჩიეს შტატებისა და ოლქების პარტიულმა ყრილობებმა, ე. ი. შეარჩიეს ამ შტატების პოლიტიკურმა ბოსებმა, რომლებიც გადაწყვეტენ კიდევაც, დელეგატებმა ხმა უნდა მისცენ ტაფტს თუ ეიზენჰაუერს, ან, თუ უიმედო ჩიხი შეიქმნა, პრეზიდენტობის რომელიღაც მესამე კანდიდატს.

ზოგიერთ სამხრეთ შტატში, სადაც რესპუბლიკური პარტია ფაქტიურად მხოლოდ ქაღალდზეა, ბოსებმა თავიანთი დელეგატების ხმები მიჰყიდეს ან ტაფტის მომხრეებს, ან ეიზენჰაუერის მომხრეებს. 6 ივლისს გაზეთი „ნიუ-იორკ ტაიმსი“ აღნიშნავდა, რომ სამხრეთ შტატებში „რესპუბლიკური პარტიის ორგანიზაცია არსებობს ერთადერთი მიზნით—დელეგატები გზავნოს ყრილობაზე მფარველობის სანაცვლოდ“.

ტეხასიდან, ლუიზიანიდან, მისისიპიდან, გეორგიიდან და ზოგიერთი სხვა სამხრეთი შტატიდან ყრილობაზე მოვიდა დელეგატთა ორი მეტოქე ჯგუფი, რომლებიც რესპუბლიკური პარტიის ამ შტატების არარსებული ორგანიზაციების წარმომადგენლობის პრეტენზიას აცხადებენ.

რესპუბლიკური პარტიის ეროვნულმა კომიტეტმა, რომელმაც წარსულ კვირაში მოისმინა მეტოქე დელეგაციების პრეტენზიები, მიიღო მთელი რიგი გადაწყვეტილებანი, უმთავრესად ტაფტის სასარგებლოდ. ეიზენჰაუერის მომხრენი ამტკიცებენ, რომ ეროვნულ კომიტეტში ბატონობენ ტაფტის მომხრენი, რომ კომიტეტმა დაადასტურა „ხმების მოპარვა“, და იმუქრებიან, რომ ამ საკითხს დასვამენ ყრილობის დღის წესრიგში. ფრაქციულმა კინკლაობამ მეტად გააფთრებული ხასიათი მიიღო.

მიმომხილველები ძმები ოლსოპები გაზეთ „ჩიკაგო სან ენდ ტაიმსში“ გამოქვეყნებულ სტატიაში ამასთან დაკავშირებით გამოთქვამენ გაკვირვებას, „როგორ შეუძლია საერთოდ პარტიას მონაწილეობა მიიღოს ნოემბრის არჩევნებში, თუ მის გამარჯვებულ კანდიდატს ის მოელის, რომ უნდა გადალახოს თავისი ძმების სისხლის მდინარენი“.

ასოშიეიტედ პრესის სააგენტოს უკანასკნელი ცნობებით, ამჟამად ტაფტს მხარს უჭერს 530 დელეგატი, მათ შორის სამხრეთი შტატების დელეგატები. ეს მხარდაჭერა მისთვის უზრუნველყოფილია ეროვნული კომიტეტის მეოხებით.

ეიზენჰაუერს მხარს უჭერს 427 დელეგატი, უორენს, სტასენსა და სხვა პრეტენდენტებს — 131 დელეგატი.

118 დელეგატს ჯერაც არ განუცხადებია, თუ რომელ კანდიდატს დაუჭერენ ისინი მხარს, და მათმა ხმებმა შეიძლება გადამწყვეტი როლი შეასრულოს.

ამ ხმების განაწილება დამოკიდებული არ არის იმაზე, რაც ყრილობაზე ხდება, სადაც მთავარი ადგილი ეთმობა ოფიციალურ ცერემონიებსა და ასეთსავე სიტყვებს.

საკითხს, თუ ვის სასარგებლოდ იქნება მიცემული ეს ხმები, გადაწყვეტენ პოლიტიკური ბოსები, რომლებსაც სხდომები აქვთ მიჩიგანის ტბის ნაპირზე მდებარე ფეშენებელურ ოტელებში.

რესპუბლიკური პარტიის საარჩევნო პროგრამის პროექტი, როგორც იუწყებიან, უკვე შეადგინა პარტიის ლიდერთა ჯგუფმა ჯონ ფოსტერ დალესის მონაწილეობით, რომელმაც ჩამოაყალიბა პროგრამის საგარეოპოლიტიკური ნაწილი. დელეგატების უმრავლესობის ამოცანა, ისევე როგორც პრეზიდენტის პოსტსა და ვიცე-პრეზიდენტის პოსტზე კანდიდატების დასახელების საკითხის გადაწყვეტისას, ის იქნება, რომ ფორმალურად მოიწონოს გადაწყვეტილებანი, რაც უკვე მიღებულია ერთი მუჭა მაღალი თანამდებობის პარტიული ბოსების მიერ, რომლებიც მსხვილ ფინანსისტთა ჯგუფების კარნახით მოქმედებენ.

ჩიკაგო, 8 ივლისი. (საკდესის სპეც. კორ.). რესპუბლიკური პარტიის ეროვნულ ყრილობაზე ბრძოლამ მიიღო ფორმა ტეხასის, გეორგიისა და ლუიზიანის შტატებისაგან 68 დელეგატის ადგილებისათვის დავისა. ამ ადგილების დაკავების პრეტენზიის მქონე დელეგატებმა, მეტწილად ტაფტის მომხრეებმა, ადგილები ყრილობაზე მიიღეს რესპუბლიკური პარტიის ეროვნული კომიტეტის გადაწყვეტილებით, რომელსაც ძირითადად კონტროლს უწევენ ტაფტის მომხრეები.

ეიზენჰაუერის მომხრეებმა, რომლებმაც ვერ მიაღწიეს კომპრომისს არაოფიციალურ თათბირებზე, დავა გადასცეს ყრილობის განსახილველად და ამტკიცებენ, რომ დელეგატები, რომელთა საკითხიც უნდა გადაწყდეს, ყრილობას არ უნდა დაესწრონ ყრილობის სამანდატო კომისიის მოხსენებამდე.

სამი საათის უთავბოლო კამათის შედეგად, რომლის განმავლობაშიც ორატორებს არაერთგზის შეაწყვეტინეს სიტყვა შენიშვნებით და ხმამაღლა ყვირილით, ყრილობამ მხარი დაუჭირა ეიზენჰაუერის მომხრეებს 658 ხმით 548 ხმის წინააღმდეგ. ზოგიერთი კომენტატორი იმის მომხრე იყო, რომ კენჭისყრის შედეგები შეფასებულიყო, როგორც ტაფტისა და ეიზენჰაუერის მომხრე ძალების სერიოზული შემოწმება.

თუმცა ეს მხოლოდ წინასწარი კენჭისყრაა და არ შეიძლება პრეზიდენტის პოსტზე კანდიდატის დასახელებისათვის ბრძოლაში ტაფტზე ეიზენჰაუერის გამარჯვების მომასწავებლად ჩაითვალოს, მაინც ზოგიერთ წრეს დღევანდელი კენჭისყრის შედეგი იმად მიაჩნია, რასაც კლივლენდელმა ბანკირმა იტონმა რამდენიმე წლის წინათ „უოლ-სტრიტის ვერაგული გავლენა“ უწოდა.

პრესის ცნობების მიხედვით, ყრილობის კულისებში პარტიის მეთაურები გაძლიერებულ საქმიანობას ეწევიან და ფარულად დებენ „გარიგებებს“ ყრილობაზე ბრძოლის შედეგების შესახებ.

გაზეთი „ნიუ-იორკ ტაიმსი“ ახასიათებდა ყრილობის დელეგატების როლს გადაწყვეტილებათა მიღებაში და გუშინ დილით წერდა: „ათზე ნაკლებმა პოლიტიკურმა ლიდერმა, თუმცა არა გაბოლილ ოთახებში, დინჯად მოჰკიდა ხელი მართლაც სასიცოცხლო მნიშვნელობის საკითხების გა[illegible] რომლებიც [illegible] ბენ, შეცდომით ფიქრობს, რომ მას რაიმე მნიშვნელობა აქვს. ის, რაც ხდება, მათ მიერ მონაწილეობის მიუღებლად და ბევრ შემთხვევაში მათს დაუკითხავადაც კი ხდება“. ამ ფარულ საქმიანობაში აქტიურ მონაწილეობას იღებენ ამერიკის უმსხვილესი მონოპოლიების წარმომადგენლები. 6 ივლისს ჩიკაგოს ჩამოვიდა „ჩეიზ ნეიშნლ ბენკ ოფ ნიუ-იორკის“ თავმჯდომარე უინტროპ ოლდრიჩი. ოლდრიჩი დიდი ფიგურაა როკფელერის იმპერიაში და წარსულში აქტიურ ფარულ როლს ასრულებდა რესპუბლიკური პარტიის პოლიტიკაში.

7 ივლისის გაზეთ „ჩიკაგო ტრიბუნის“ სიტყვით, ოლდრიჩი, რომელიც კერძო სახლში მოთავსდა იმ დარბაზიდან დაშორებით, სადაც ყრილობა მიმდინარეობს, ნიუ-იორკის შტატის გუბერნატორ დიუის მეშვეობით მოქმედებს და როკფელერის კომპანიების უდიდეს გავლენას იმისათვის იყენებს, რომ დელეგატებს ხმა მიაცემინოს ეიზენჰაუერისათვის. გაზეთი „ჩიკაგო ტრიბუნი“ ამტკიცებს, რომ ოლდრიჩმა და „ჩეის ნეიშნლ ბენკმა“ დიუის ჯგუფს გადასცეს იმ დიდი აქციონერების სიები, რომლებსაც შეუძლიათ გავლენა მოახდინონ დელეგატებზე.

„ჯგუფმა, — წერდა გაზეთი, — მიიღო ცნობები იმ აქციების გასაყიდი ფასის შესახებ, რომლებიც ჩვეულებრივ საიდუმლოდ და მიუწვდომლად ითვლება. აქციონერთა სიები შემდეგ შერჩეულ იქნა კონგრესის საარჩევნო ოლქებში. როგორც იუწყებიან, მსხვილ აქციონერთა სახელები ტელეგრაფით გადასცეს „ჩეიზ ნეიშნლ ბენკის“ სათანადო განყოფილებებს. ამ ოლქებში ბანკის განყოფილებებმაც, რომლებმაც სესხი მისცეს აქციების მსხვილ მფლობელებს, გავლენა მოახდინეს ამ საქმოსნებზე. როგორც ამბობენ, საქმოსნებმა „ჩეიზ ნეიშნლ ბენკის“ საამებლად ზეგავლენა მოახდინეს ყრილობის დელეგატებზე, რათა მათ მხარი დაუჭირონ აიკს (ეიზენჰაუერს. — რედ. შენიშვნა). ზოგიერთზე მოხდენილ იქნა სერიოზული გავლენა“.

უოლ-სტრიტის სხვა წარმომადგენლები კიდევ უფრო აშკარად მოქმედებენ, ვიდრე ოლდრიჩი. ჩიკაგოში ყრილობის გახსნის ცოტა ხნის წინ საერთაშორისო სავაჭრო პალატის ამერიკის საბჭოს თავმჯდომარე და დირექტორი „ჯენერალ მოტორს კორპორეიშნისა“, რომელსაც კონტროლს უწევენ დიუპონი და მორგანი, აგრეთვე სხვადასხვა კორპორაციებისა, რომლებიც მორგანის კონტროლშია, ჯორჯ სლოუნი პრესის წარმომადგენელთა წინაშე იკვეხნიდა, რომ მან მისწერა სამხრეთი შტატების ყველა დელეგატს და მოუწოდა მხარი დაუჭირონ ეიზენჰაუერს.

ეიზენჰაუერის სხვა გავლენიანი მომხრენი აგრეთვე იყენებენ მათს განკარგულებაში არსებულ ყველა საშუალებას, რათა მიაღწიონ გენერლის კანდიდატურის დასახელებას. ესენი არიან ამერიკის უდიდეს კაპიტალისტურ დაჯგუფებათა — მორგანის, როკფელერის, დიუპონის, მელონისა და ფორდის წარმომადგენლები. ამ პირთა შორის არიან ოლდრიჩი და ჯორჯ სლოუნი; ალფრედ სლოუნი — კომპანია „ჯენერალ მოტორსის“ გამგეობის თავმჯდომარე; გენერალი კლეი — კომპანია „ჯენერალ მოტორსის“ დირექტორი და მეთაური „კონტინენტალ კენ კომპანისა“, რომელსაც კონტროლს უწევს მორგანი; ჰენრი კოლიერი — როკფელერის კონტროლში მყოფი კომპანიის „სტანდარდ ოილ კომპანი ოფ კალიფორნიის“ ერთ-ერთი წარმომადგენელი და „არაბიენ ამერიკენ ოილ კომპანის“ ადმინისტრაციული საბჭოს თავმჯდომარე; ფინანსისტი ჯონ გაი უიტნი; ჰენრი ფორდი; ტომას პარკინსონი — უდიდესი კომპანია „ეკვიტეიბლ ლაიფ ინშურენს კორპორეიშნის“ პრეზიდენტი და „ჩეიზ ნეიშნლ ბენკის“ დირექტორი; ჯ. ფრენსის ბრეიკი — მელონის მიერ კონტროლირებული

(დასასრული მე-4 გვერდზე)

# გასულ თეატრალურ სეზონში

## სუხუმის სახელმწიფო თეატრის სპექტაკლები

გასულ სეზონში იგრძნობოდა დრამატული თეატრების რეპერტუარის დიდი სიღარიბე. სუხუმის სახელმწიფო დრამატულმა თეატრმა, რომელიც საქართველოს მოწინავე თეატრთა რიგში დგას, აგრეთვე ვერ დააღწია თავი თანამედროვე რეპერტუარის სიღარიბეს.

სეზონში თეატრმა რვა ახალი სპექტაკლის დადგმა განახორციელა. ესენია: გ. ნახუცრიშვილის „ავლაბრის სტამბა“, მ. გორკის „მდაბიონი“, გ. მუხტაროვის „ალანის ოჯახი“ (დამდგმელი ს. ჭელიძე), ბ. ლავრენევის „რღვევა“, მოლიერის „ძალად ექიმი“ (დამდგმელი გ. ვასაძე), ნ. გოგოლის „ქორწინება“, მ. ბარათაშვილის „მარინე“ (დამდგმელი ა. გამსახურდია) და ი. ვაქელის „რვალი“ (დამდგმელი ლ. ჭედია).

დადგმული სპექტაკლები ყველა ერთი ღირებულებისა როდია. ზოგიერთი მათგანი განხორციელებულია თეატრის შესაძლებლობაზე დაბალი დონით. განსაკუთრებით ეს ითქმის კლასიკური მემკვიდრეობის პიესებზე — „ძალად ექიმი“ და „ქორწინება“. ამ ნაჩქარევად დადგმული სპექტაკლების საერთო ნაკლი ის არის, რომ მათში არ იგრძნობა რეჟისორთა და მსახიობთა დაკვირვებული მუშაობა კომედიურ სახეთა გასახსნელად, რის გამო ორივე პიესა გაღარიბებულად წარმოგვიდგება. ამ შესანიშნავ ნაწარმოებებს აკლიათ მათთვის დამახასიათებელი დახვეწილი ჰუმორი. „ქორწინების“ დადგმა არ შეესაბამება დიდი კომედიოგრაფ-რეალისტის ჩანაფიქრს, გადაჭარბებულად არის გაშარჟებული, რაც ნათლად მოჩანს სახეთა გაგებაში, გრიმში, იაფფასიანი სიცილის გამომწვევ მიზანსცენებში.

ნაკლებად მკაფიო სპექტაკლების რიგს უნდა მივაკუთვნოთ პიესები — „მარინე“ და „რვალი“—დადგმა. კომედია „მარინეს“ აკლია მსუბუქი და დახვეწილი რიტმი, ხოლო პიესა „რვალი“ თეატრმა დადგა ავტორის პირველი ვარიანტის მიხედვით, დრამატურგის მიერ გაწეული შემდგომი მუშაობის გაუთვალისწინებლად, რის გამო სპექტაკლი მნიშვნელოვნად გაღარიბებული გამოვიდა.

დიდი ინტერესით შეხვდა სუხუმელი საზოგადოებრიობა სპექტაკლებს „მდაბიონი“, „რღვევა“ და „ალანის ოჯახი“.

თუ პირველ სპექტაკლში („მდაბიონი“) თეატრმა ბრწყინვალედ გამოძერწა გორკის მიერ შექმნილი ახალი ცხოვრების შემოქმედის — მემანქანე ნილის უკვდავი სახე, პათოსი ახალი გმირისა, რომელიც გამანადგურებელ ლახვარს სცემს გახრწნილ მეშჩანურ ყოფასა და მორალს, მეორე სპექტაკლში („რღვევა“) ცხოვრების სიმართლით არის ასახული საბჭოთა ხელისუფლებისათვის ბრძოლის ერთ-ერთი მღელვარე ეპიზოდი.

პიესა „ალანის ოჯახის“ დადგმით თეატრი აგრძელებს თავის შესანიშნავ ტრადიციას — სუხუმელ მაყურებელს გააცნოს მოძმე საბჭოთა რესპუბლიკების ხალხთა ახალი ცხოვრება. პიესა მოგვითხრობს რუსეთის თვითმპყრობელობის მიერ ჩაგრული იმ ერთ-ერთი კუთხის შესახებ, სადაც საბჭოთა ხელისუფლების წლებში ლენინ-სტალინის პარტიის ხელმძღვანელობით მოხდა მსოფლიო-ისტორიული მნიშვნელობის გარდატეხა. სსრ კავშირის ხალხთა ძმურ ოჯახში, დიადი სტალინური მეგობრობის საფუძველზე საბჭოთა თურქმენეთმა ისტორიაში უმაგალითოდ მოკლე ვადაში გიგანტური ნახტომი გააკეთა ნახევრადფეოდალური მონობიდან მუშათა და გლეხთა აყვავებული სოციალისტური რესპუბლიკის სინამდვილემდე.

ამ უდიდესმა გარდაქმნამ მკაფიო გამოხატულება ჰპოვა ერთ დროს ჩამორჩენილი, დაჩაგრული ხალხის ახალ, ჭეშმარიტად უმაგალითო მორალურ თვისებებში.

პიესის მოქმედება წარმოებს აშხაბადელი რკინიგზელი მუშის ალან ჰერდანოვის ოჯახში, 1947 წელს. მოხუცმა ალანმა და მისმა მეუღლემ ბიკემ სამამულო ომში სამი ვაჟი დაკარგეს. მათ მამაცურად გადაიტანეს ეს უბედურება, დანარჩენ შვილებთან ცხოვრობენ. ამაყობენ თავიანთი შვილებით. მათ ამის საფუძველიც აქვთ. უფროსი შვილი ბაირამი ხელმძღვანელობს მოწინავე კოლმეურნეობას, მეორე შვილი ნიადაგთმცოდნე ატა ასპირანტია, ქალიშვილი იაზგული მუსიკალურ ტექნიკუმში სწავლობს, უმცროსი კი მათემატიკური ფაკულტეტის სტუდენტია. მოკლე ხანში ოჯახში უნდა იდღესასწაულონ აშხაბადის რკინიგზაზე ალანის თავდადებული შრომის ოცდაათი წელი. ბედნიერად ცხოვრობს ალანის ოჯახი. მაგრამ მოულოდნელად მათი ჰარმონიული ცხოვრება ირღვევა. კოლმეურნეობის თავმჯდომარე ბაირამი არღვევს სასოფლო-სამეურნეო არტელის წესდებას, ლახავს ჩვენი საზოგადოების ეთიკურ ნორმებს. ბაირამის წინააღმდეგ ილაშქრებს მთელი მისი ოჯახი. ყოველი მათგანი საზოგადოებრივი ინტერესების, კომუნისტური მორალის პრინციპების დასაცავად აღდგა. ოჯახი აიძულებს ბაირამს მთელი კოლმეურნეობის წინაშე აღიაროს თავისი დანაშაული, თავდადებული შრომით გამოისყიდოს იგი.

სპექტაკლი დადგა ხელოვნების დამსახურებულმა მოღვაწემ, რეჟისორმა ს. ჭელიძემ. პირველივე სცენებიდან მაყურებლის თვალწინ იშლება ჩვეულებრივი საბჭოთა ოჯახის ცხოვრება. მომქმედ პირთა ქცევის თავისებურების, მათი ხასიათის ჩვენებით რეჟისორმა და შემსრულებლებმა შეძლეს წარმოესახათ საბჭოთა ადამიანების რეალური ცხოვრება. მერდანოვების ოჯახის ეროვნული თავისებურებანი და ყოფის ხასიათი ხელს არ უშლის რეჟისორს მათ ოჯახში მომხდარი ამბები ტიპიური განზოგადების თვალსაზრისით აჩვენოს. სპექტაკლში სწორად არის გადმოცემული დრამატული კონფლიქტი — მძიმე დანაშაული ადამიანისა, რომელიც ჯერ კიდევ წარსულის ტყვეობაში იმყოფებოდა.

მთელი სპექტაკლის მსვლელობის მანძილზე რეჟისორმა შეძლო მოენახა სადა, ლოგიკურად გააზრებული მიზანსცენები. მსახიობები, რომლებიც მონაწილეობენ სპექტაკლში, დაკვირვებით, სერიოზულად მიუდგნენ თავიანთ როლებს, რამაც მშვენიერი ანსამბლი შექმნა. მაყურებელი ხედავს უბრალო საბჭოთა ადამიანების რეალურ სახეებს, რომელთაც აერთიანებს სოციალისტური სამშობლოსადმი უსაზღვრო ერთგულება.

რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი ლ. ჭედია ალანის როლში გვიხატავს მოხუცი საბჭოთა მუშის ცოცხალ სახეს. ალანმა ახალგაზრდობაში განიცადა კოლონიური ჩაგვრის მთელი სიმძიმე. მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების პირობებში იგრძნო მან ნამდვილი ბედნიერება. მსახიობი დამაჯერებლად გადმოსცემს, რომ ალანის ცხოვრების შინაარსია სამშობლოსადმი მგზნებარე ერთგულება. ამიტომ აღელვებს მას ასე ძლიერად შვილის დანაშაული და ურყევ გადაწყვეტილებას იღებს დაუყოვნებლივ შეატყობინოს ამის შესახებ რაიკომის მდივანს.

ალანის როლის მეორე შემსრულებელი — მსახიობი ვ. ნინიძე როლის იდეური შინაარსის სწორად გადმოცემის გარდა დიდ ყურადღებას უთმობს გარეგანი სახის დამახასიათებელ დეტალებს.

თვალსაჩინო შემოქმედებითს წარმატებად უნდა ჩაითვალოს რესპუბლიკის დამსახურებული არტისტის ს. გამრეკელის მიერ შექმნილი ნიადაგთმცოდნის ატას სახე. მსახიობი ცდილობს დაგვიხატოს თავისი გმირი რომანტიკული ფერებით. ატა ს. გამრეკელის გაგებით სამშობლოს მგზნებარედ მოყვარული ენთუზიასტია, რომელიც მისწრაფვის იქითკენ, რომ თავისი განთავისუფლებული ხალხის ცხოვრება კიდევ უფრო ბედნიერი გახადოს. ს. გამრეკელმა შეძლო გადმოეცა მაღალი იდეალები, რომლებიც მის გმირს აღელვებენ, და მაყურებლისათვის გასაგები გახადა, რატომ გამოიჩინა მან დამნაშავე ძმისადმი ასეთი შეურიგებელი სიმკაცრე.

საინტერესოდ არის ნაჩვენები სპექტაკლში ალანის ქალიშვილი პიანისტი იაზგულიც. მსახიობი ნ. ყიფიანი ქმნის საბჭოთა ქალიშვილის მიმზიდველ სახეს. იაზგული მისწრაფვის ცოდნის ამაღლებისაკენ, გაბედულად ოცნებობს კომპოზიტორის პროფესიაზე. მსახიობი გულწრფელად გადმოსცემს იაზგულის ოჯახური დრამით გამოწვეულ მძიმე განცდებს; დიდი ტემპერამენტით ატარებს იგი სცენას, სადაც ახალგაზრდა პიანისტი, ძმის ულირსი საქციელით აღშფოთებული, ხევს მისდამი მიძღვნილი კანტატის ნოტებს.

ბაირამის როლს ასრულებს მსახიობი გ. მაგრაქველიძე. მსახიობმა სწორად გაიგო თავისი გმირის პიროვნების სირთულე. იგი რეალისტურად ხატავს მტკიცე ნებისყოფის, გაბედავი, ენერგიული სპეციალისტის სახეს, რომელმაც შეძლო თავისი კოლმეურნეობა მთელ რესპუბლიკაში მოწინავე გახადა. ამავე დროს მსახიობი არ ჩრდილავს ბაირამის ხასიათის უარყოფით მხარეებს, დამაჯერებლად უჩვენებს, რომ წონასწორობას მოკლებული ბაირამი ნაწილობრივ ჯერ კიდევ წარსულის ტყვეობაში იმყოფება, რამაც იგი გაყოყოჩებამდე და გარკვეულ შეცდომებამდე მიიყვანა. მსახიობის თამაში ტემპერამენტულია, იგი თანმიმდევრულად გვიჩვენებს ამ შეცდომის შედეგად ადამიანის სულიერ დრამას, რომელმაც ჰპოვა ძალა ეღიარებინა შეცდომა და გამოესყიდა დანაშაული. განსაკუთრებით აღსანიშნავია ფინალური სცენა, სადაც ბაირამი კოლმეურნეების წინაშე თავის დანაშაულს აღიარებს.

სუხუმის თეატრის გასული სეზონის შედეგები კიდევ ერთხელ მთელი სიმკვეთრით ცხადყოფენ იმ ფაქტს, რომ თეატრის მუშაობაში ძირითადი არის მაღალხარისხოვანი თანამედროვე რეპერტუარის შექმნის საკითხი. მომავალ სეზონს სუხუმის თეატრი ახალ შესანიშნავ შენობაში გახსნის. საბჭოთა თეატრალური ხელოვნების განვითარებისათვის სტალინური მზრუნველობის ეს ახალი მკაფიო დადასტურება სუხუმის თეატრის ნიჭიერ კოლექტივს აკისრებს იბრძოლოს ახალი შემოქმედებითი გამარჯვებებისათვის. რესპუბლიკის ერთ-ერთი უძველესი თეატრისაგან მაყურებელი ელის ჩვენი დიადი თანამედროვეობის ამსახველ ახალ, მაღალმხატვრულ სპექტაკლებს.

ლ. გორელი.

## სპექტაკლი სომეხ და ქართველ ხალხთა მეგობრობაზე

თბილისის სომხური დრამის სახელმწიფო თეატრმა მაყურებელს უჩვენა ახალგაზრდა დრამატურგ ს. მანველიანის პიესა „ქალიშვილი ლუსაკერტიდან“.

ს. მანველიანი დღემდე ცნობილი იყო როგორც ნიჭიერი ნოველისტი. პიესა „ქალიშვილი ლუსაკერტიდან“ მისი პირველი ნაბიჯია დრამატურგიაში.

ავტორის გამარჯვების მთავარი მიზეზი ის არის, რომ ახალგაზრდა დრამატურგი ცდილობს ცოცხლად, რეალურად დახატოს თავის გმირთა სულიერი სამყარო. პიესის თემას შეადგენს თანამედროვე საკოლმეურნეო სოფლის ცხოვრება, ბამბის უხვი მოსავლის ოსტატების მიღწევები, აგრეთვე ადამიანთა შეგნებაში შერჩენილი კაპიტალისტური გადანაშთების წინააღმდეგ ბრძოლა. სიუჟეტურად და მხატვრულად პიესა კარგად არის გაკეთებული, კონფლიქტი განვითარებულია საინტერესოდ. პიესაში ნაჩვენებია სომეხი და ქართველი ხალხის ძმური ურთიერთობა და თანამშრომლობა, მოძმე რესპუბლიკების — სომხეთისა და საქართველოს მოწინავე კოლმეურნეობათა სოციალისტური შეჯიბრება.

სპექტაკლში მძლავრად გაისმის მშვიდობისმოყვარე საბჭოთა ადამიანების ხმა და გულისწყრომა ახალი ომის გამჩაღებელთა წინააღმდეგ.

სპექტაკლის დადგმა ეკუთვნის ახალგაზრდა რეჟისორს მ. ბაბლოიანს. რეჟისორის მიერ გაწეული სერიოზული მუშაობა განსაკუთრებით იმ სცენებში ჩანს, სადაც მას ხაზი გაუსვამს ავტორის მთავარი იდეისათვის. ეს არის ადამიანის აღზრდის, მისი სულიერი გარდაქმნის, საერთო საქმისათვის თავდადებული შრომის საკითხი.

მსახიობთა კოლექტივს, რომელიც ამ სპექტაკლში მონაწილეობს, ერთსულოვნება და ანსამბლურობა ახასიათებს.

მანუშ არევიანის როლში მსახიობი ემა სტეფანიანი ცოცხლად, რეალისტურად განასახიერებს მოწინავე კოლმეურნე ქალის სახეს. მისი თამაში მოფიქრებულია, განცდები დამაჯერებელი. ამავე როლში კარგია მსახიობი როზა მალხასიანიც, თუმცა როლის ზოგიერთ დეტალს შემდგომი დამუშავება სჭირდება.

შესანიშნავად ასრულებს მჭედელ არმენის როლს რესპუბლიკის სახალხო არტისტი ა. ბეროიანი. მისი რეალისტური, ღრმად შინაარსიანი თამაში მსახიობის მაღალ ოსტატობაზე მეტყველებს.

რესპუბლიკის სახალხო არტისტი ა. ლუსინიანი სამველის როლში მეტად საინტერესო სახეს ქმნის. კონტრასტული თვისებებით დაჯილდოებული სამველი პიესაში ყველაზე რთული სახეა. მსახიობმა ოსტატობით გამოკვეთა ჯერ მერყევი, გზააბნეული და შემდეგ ჭეშმარიტად გარდაქმნილი ახალგაზრდა ტრაქტორისტის სახე.

თბილისის სახელმწიფო სომხური თეატრი კარგად მოიქცა, ახალი სოფლის ცხოვრების სინამდვილის ამსახველი, მხატვრულად და იდეურად გამართლებული ეს პიესა რომ დადგა.

ს. ავჩიანი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# არჩევნების წინ ა. შ. შტატებში

(დასასრული)

„ჰალფ ოილ კორპორეიშნის“ თავმჯდომარე და მელონის კომპანია „ნეიშნლ ბენკ ენდ ტრასტ კომპანის“ დირექტორი.

პრესის ცნობებით ცხადი ხდება, რომ ეიზენჰაუერს უდავოდ ემხრობიან აღმოსავლეთი შტატების ფინანსური კაპიტალის უმსხვილესი წარმომადგენლები, ხოლო ტაფტი ეყრდნობა, უმთავრესად, ჩიკაგოსა და კლივლენდის ფინანსურ ჯგუფებს, შუა დასავლეთის იმ სამრეწველო კორპორაციების დირექტორებს, რომლებიც არ შედიან მორგანის, როკფელერის, მელონისა და დიუპონის გავლენის სფეროში; იგი ეყრდნობა „დამოუკიდებელ“ ნავთის კომპანიებს, რომლებიც როკფელერის კონტროლში არ მოხვედრილან და რომლებიც კონკურენციას უწევენ „სტანდარდ ოილს“ საშინაო ბაზრებზე.

ტაფტის მომხრეთა საიში შედიან: ბ. ჰატჩინსონი — „კრეისლერ კორპორეიშნის“ დირექტორი; ჰენრი ტიმკენი — კანტონის (ოჰაიოს შტატი) მსხვილი კომპანიის „ტიმკენ როლერ ბერინგსის“ თავმჯდომარე; ჩარლზ ედისონი — ნიუ-ჯერსის კომპანია „ტომას ედისონ კომპანის“ თავმჯდომარე და ნიუ-ჯერსის შტატის ყოფილი გუბერნატორი; ე. უ. ჰარისი — ჩიკაგოს საფინანსო ფირმის „ჰარის ტრასტ კომპანის“ ყოფილი თავმჯდომარე; რობერტ მორზე — ჩიკაგოს დიზელების, ელექტრომოტორებისა და სხვ. წარმოების მსხვილი ფირმის „ფეირბენკს მორზე ენდ კომპანის“ თავმჯდომარე; ედგარ კინისენტ-ლუისის კომპანია „მონსანტო კემიკლის“ თავმჯდომარე; ედვარდ რაიერსონი — ჩიკაგოს კომპანია „ინლენდ სტილ კომპანის“ მეთაური; ჯონ ჰამილტონი — ფილადელფიის პიუს მსხვილი ნავთისა და გემთსაშენი „დამოუკიდებელი“ კომპანიების იურისტკონსულტი; გენერალი რობერტ ვუდი — ჩიკაგოს მსხვილი სავაჭრო ფირმის „სირს, რობუკ ენდ კომპანის“ თავმჯდომარე; რობერტ მაკკორმიკი — გაზეთ „ჩიკაგო ტრიბუნის“ გამომცემელი.

ტაფტი სარგებლობს აგრეთვე უოლ-სტრიტის მხარდაჭერით. „ტაფტის კანდიდატურის მხარდამჭერი სამოქალაქო კომიტეტის“ შემადგენლობაში შედის ლიუს სტრაუსი — უოლ-სტრიტის მსხვილი ფირმის „კუნ, ლებ ენდ კომპანის“ ყოფილი პარტნიორი, ხოლო ამჟამად როკფელერის კომპანიების ფინანსური მრჩეველი. როკფელერებს, რომლებიც ძირითადად მხარს უჭერენ ეიზენჰაუერს, როგორც ჩანს, მიზანშეწონილად მიაჩნიათ აგრეთვე ერთგვარი თანხა „შეიტანონ“ ტაფტის მხარდასაჭერადაც, უკანასკნელის შესაძლო გამარჯვების შემთხვევაში.

ამერიკის პროგრესული მოღვაწეები აღნიშნავენ, რომ დამოუკიდებლად იმისა, თუ ვინ გაიმარჯვებს გაფთრებულ ფრაქციულ ბრძოლაში, რაც რესპუბლიკური პარტიის ყრილობის მიერ პრეზიდენტის პოსტზე კანდიდატის დასახელებასთან დაკავშირებით გაჩაღდა, ბრძოლის შედეგი არ იქნება ამერიკელი ხალხის თუ რესპუბლიკური პარტიის რიგითი წევრების ინტერესების შესაფერისი. რადგან, ხაზგასმით აღნიშნავენ ეს მოღვაწენი, არც ტაფტი და არც ეიზენჰაუერი არავითარ შემთხვევაში არ გამოხატავს ხალხის სურვილებს, მოლოდინსა თუ მისწრაფებებს, ხალხისა, რომელსაც სურს მშვიდობა, იბრძვის დემოკრატიული უფლებებისა და ეკონომიური უზრუნველყოფისათვის.

# ანდრე სტილის განცხადება პრესის წარმომადგენლებისადმი

**პარიზი**, 8 ივლისი. (საკდესი). გაზეთმა „ლუმანიტემ“ დღეს გამოაქვეყნა განცხადება, რომელიც ანდრე სტილმა გუშინ გაუკეთა პრესის წარმომადგენლებს თავისი დაკითხვის შემდეგ, რაც 6 საათს გრძელდებოდა.

„ის, რაც ხდება, — განაცხადა ანდრე სტილმა,—სრულიად უმაგალითოა. მე დამკითხავენ მხოლოდ და მხოლოდ პარტიის პოლიტიკის შესახებ. მე განსაკუთრებულ გამოთქმებსა და პირად ფორმულირებებშიც კი არ მდებენ ბრალს. სურთ გამასამართლონ პარტიის პოლიტიკისათვის. რას მდებენ ბრალად? მაგალითად, ეს ტულონის ჩანაწერები. ტულონის უხეში და უაზრო საქმე მეორე ოპერაციაა, რომელიც მტრედების საქმეს მოგვაგონებს! ჩანაწერებში, რომლებიც ლუსიანომ გაკეთა კონფერენციაზე დემოკრატიული პრესის შესახებ, შემდეგი ფრაზა იყო: „ჩვენ ვაცხადებთ, რომ ერთგული ვართ საბჭოთა კავშირისა“. გამომძიებელმა როტმა, როგორც ჩანს, ამ ფრაზის საფუძველზე მკითხა: „ხომ არ მოგითხოვიათ თქვენ, ბატონო სტილ, ჩვენი შეერთება საბჭოთა კავშირთან?“.

და მთელი დაკითხვა ასეთი ხასიათისაა. სურთ კონსპირაციული ხასიათი მისცენ იმას, რაც პოლიტიკური იდეის გამოხატულებაა. ყოველივე ეს მეტად სერიოზულია. ადამიანებს აპატიმრებენ იმისათვის, რომ ისინი ესწრებოდნენ ლეგალური პარტიის ლეგალურ კრებებს. 27 ივნისს მე ბრალად დამდეს პოლიტიკური კრებები. ამ საქმეში ურევენ პარტიის მასალებსა და რეზოლუციებს, რომელთაც მრავალი წლის ხანდაზმულობა აქვთ. იხსენიებენ მორის ტორეზის განცხადებას, რომ ფრანგი ხალხი არასოდეს არ იომებს საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ. მე ბრალად მდებენ იმ სტატიას მანიფესტაციის შესახებ, რომელიც გამოქვეყნდა 25 მაისს, ჩემი დაპატიმრების დღეს, და რომელიც დაწერილია წინადღით, სადაც ვლაპარაკობდი „სოციალიზმის პერსპექტივებზე“. მაშინ სიკვდილის შემდეგ ბრალი უნდა დავდოთ ჟიულ გედსა და ჟორესს და აგრეთვე — რატომაც არა? — ამჯერად უკანა რიცხვით ვენსან ორიოლსაც.

ამ პირობებში მხედველობაში ჰყავთ არა მარტო კომუნისტები, არამედ ყველა ისინი, ვინც გამოთქვამს მხოლოდ სურვილს სოციალიზმის პერსპექტივების შესახებ. ლაპარაკობენ დახურულ სხდომებზე სამხედრო ტრიბუნალში. ცდილობენ შთაგვაგონონ, რომ ცარიელი დოსიეები სავსეა მასალებით შავბნელი საქმეების შესახებ.

სიმართლე ის არის, რომ ბრიუნსა და მარტინო-დეპლას კოვზი ნაცარში ჩაუვარდათ დიუკლოს ოპერაციაში. ამიტომ მე დაპატიმრებული ვყავართ, როგორც მძევალი, თუმცა იციან, რომ ვერაფერში ბრალს ვერ დამდებენ. მე საპყრობილეში იმიტომ მამყოფებენ, რომ შექმნან შთაბეჭდილება, თითქოს ჩემს დოსიეში არის რაღაც საიდუმლო. გესმით თუ არა, რა სკანდალია ეს თუნდაც იურიდიული თვალსაზრისით: ორატორის პასუხისგებაში მისაცემად საკმაო ჩანაწერები, რომლებიც მესამე პირს გაუკეთებია კონფერენციაზე! ეს სასამართლო ჩემი პარტიის პოლიტიკის გასამართლებაა!“.

# თავისუფლება ანდრე სტილს!

## ხალხთა მოძრაობა საფრანგეთში დაპატიმრებულ პატრიოტთა განთავისუფლებისათვის

**პარიზი**, 8 ივლისი. (საკდესი). გაზეთმა „ლუმანიტემ“ გამოაქვეყნა ცნობები, რომლებიც მოწმობენ, რომ ძლიერდება საფრანგეთის მშრომელი მასების მოძრაობა ანდრე სტილის, ანრი მარტენისა და ყველა სხვა პატრიოტის დასაცავად, რომლებიც დააპატიმრეს მშვიდობისა და ეროვნული დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში მონაწილეობის გამო. კრებებსა და მიტინგებში, რომლებიც 6 ივლისს მიმდინარეობდა ანდრე სტილისა და სხვა დაპატიმრებულ პატრიოტთა განთავისუფლებისათვის ბრძოლის ნიშნით, მონაწილეობა მიიღო 150 ათასმა კაცმა. გრენობლში ასეთ კრებას დაესწრო 25 ათასი მცხოვრები, რემში (ნორის დეპარტამენტი) — 20 ათასი, კასანიოლში (გარის დეპარტამენტი) — 15 ათასი. ლიონის რამდენიმე ათასი მშრომელი მოწონების შეძახილებით შეხვდა ანდრე მარტის გამოსვლას, რომელმაც მოითხოვა პოლიციის რეპრესიების შეწყვეტა და ანდრე სტილისა და სხვა დაპატიმრებული ფრანგი პატრიოტების დაუყოვნებლივ განთავისუფლება. სტილის დასაცავად ხალხმრავალი მიტინგები და კრებები გაიმართა აგრეთვე ჰავრში, ანეში, ნორუზში (ოდის დეპარტამენტი) და საფრანგეთის სხვა ქალაქებში.

# ნაგოიაში დახვრიტეს იაპონელ მშრომელთა დემონსტრაცია

**ტოკიო**, 8 ივლისი. (საკდესი). გუშინ ნაგოიაში გაიმართა მშრომელთა მშვიდობის დაცვის მიტინგი, რომელსაც 7 ათასი კაცი დაესწრო. მიტინგის შემდეგ ათასამდე მონაწილემ დემონსტრაცია მოაწყო. პოლიციამ სროლა აუტეხა დემონსტრანტებს. არიან დაჭრილნი. დააპატიმრეს 117 კაცი. საოლქო პროკურატურამ ბრძანება გასცა დააპატიმრონ დემონსტრაციის ყველა მონაწილე, რომლებსაც ბრალად სდებს „ამბოხების“ მოწყობას.

# კორეის ამბები

## კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო არმიის მთავარსარდლობის ცნობა

**ფხენიანი**, 8 ივლისი. (საკდესი). კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო არმიის მთავარსარდლობამ დღეს გამოაცხადა:

გუშინ სახალხო არმიის შენაერთები ჩინელ სახალხო მოხალისეთა ნაწილებთან მჭიდრო თანამოქმედებით დასავლეთის ფრონტზე გააფთრებულ ბრძოლებს ეწეოდნენ მტრის წინააღმდეგ.

სხვა ფრონტებზე განსაკუთრებული ცვლილება არ მომხდარა.

დღეს სახალხო არმიის საზენიტო ნაწილებმა და მტრის თვითმფრინავების გამანადგურებელ მსროლელთა რაზმებმა ჩამოაგდეს და დააზიანეს მოწინააღმდეგის რამდენიმე თვითმფრინავი.

# მოლაპარაკება კორეაში დაზავების შესახებ

**პეკინი**, 8 ივლისი. (საკდესი). სინხუას სააგენტოს სპეციალური კორესპონდენტი კესონიდან გადმოგვცემს:

დღეს გაიმართა მეხუთე დახურული სხდომა დელეგაციებისა, რომლებიც მოლაპარაკებას ეწევიან დაზავების შესახებ. ეს იყო სათვალავით 99-ე პლენარული სხდომა მას შემდეგ, რაც გასული წლის 10 ივლისს დაიწყო მოლაპარაკება დაზავების შესახებ.

არ იუწყებიან არავითარ შედეგს, რადგან შეთანხმება მიღწეულია დაზავების შესახებ შეთანხმების პროექტის ყველა 63 პარაგრაფზე ჯერ კიდევ 4 დღის წინათ მას შემდეგ, რაც გენერალი ნამ ირი დაეთანხმა 51-ე პარაგრაფის ფორმულირებას ორივე მხარის ხელში მყოფი ყველა სამხედრო ტყვის რეპატრიაციის შესახებ. კორეაში დაზავების შესახებ მოლაპარაკების ერთადერთი გადაუჭრელი საკითხია სამხედრო ტყვეთა იმ სიების შემოწმება, რომლებიც ერთმანეთს გაუცვალა ორივე მხარემ გასული წლის 18 დეკემბერს, რათა ისინი გაეხადათ იმ პრინციპების შესაბამისი, რომლებსაც 51-ე და 52-ე პარაგრაფები შეიცავენ. ეს პარაგრაფები ითვალისწინებენ, რომ ყველა სამხედრო ტყვე რეპატრიირებულ უნდა იქნას, რათა კვლავ დაიწყოს მშვიდობიანი ცხოვრება.

ისევე როგორც აპრილში, მოლაპარაკებამ მიაღწია ისეთ სტადიას, როცა შეიძლება მოხდეს შეთანხმება იმ პირობით, თუ ამერიკის დელეგატები პანმინჯონში ისევე გულწრფელად, როგორც კორეელი და ჩინელი დელეგატები, ესწრაფვიან ორივე მხარისათვის მისაღები სამართლიანი დაზავების მიღწევას. და თუ სურთ, რომ მიღწეულ იქნას რაიმე მოწესრიგება, რომელსაც შეუძლია ორივე მხარის მოთხოვნა დააკმაყოფილოს, არ უნდა განმეორდეს ცალმხრივი მოქმედება, რაც გამოიხატება ათეულ ათასობით ჩინელი და კორეელი სამხედრო ტყვის ძალად დაკავებით. აპრილში ამერიკის დელეგატებმა პოლკოვნიკ ჰიკმენის პირით გვაცნობეს, რომ „შესაძლო ციფრი 116.000 კაცის რაოდენობით უფრო ახლოს იქნებოდა სამხედრო ტყვეთა“ მათთვის მისაღები გაცვლის მასშტაბთან, მაგრამ ეს ციფრი ანგარიშში არ იქნა მიღებული 100.000 სამხედრო ტყვის, მათ შორის 15.000-ზე მეტი ჩინელი სამხედრო ტყვის დაკავების შესახებ ცალმხრივი მოთხოვნის შედეგად. მეორე მხარემ აღნიშნა, რომ რეპატრიირებულ იქნება მხოლოდ 5.000 ჩინელი სამხედრო ტყვე. ამ მიუღებელმა მოთხოვნამ მოლაპარაკება მოაქცია ჩიხში, რომელშიც იგი ორ თვეზე მეტი ხნის განმავლობაში იყო.

ცხადია, რომ მეორე მხარე ასეთი მიუღებელი მოთხოვნის დაჟინებული დაცვით მოლაპარაკებას კვლავ სერიოზული საფრთხის წინაშე დააყენებდა. გენერალმა ნამ ირმა შეიტანა კომპრომისული წინადადება საკითხის გადასაწყვეტად, რათა მოლაპარაკება წარმატებით დამთავრებულიყო. მან მოითხოვა, რომ უცხო ეროვნების ყველა სამხედრო ტყვე—ჩინელი მოხალისენი, აგრეთვე ამერიკის, ბრიტანეთისა და სხვა ჯარები, რომლებიც გაერთიანებული ერების ორგანიზაციის შეიარაღებულ ძალებში შედიან, — რეპატრიირებულ უნდა იქნან, რათა კვლავ დაიწყონ მშვიდობიანი ცხოვრება. კორეელი სამხედრო ტყვეები, რომელთა ადგილსამყოფელი მათი დამკავებელი მხარის რაიონებში არ არის, რეპატრიირებულ უნდა იქნან, ხოლო იმ სამხედრო ტყვეებს, რომელთა ადგილსამყოფელი, მათი დამკავებელი მხარის რაიონებშია, შეუძლიათ პირდაპირ დაბრუნდნენ შინ.

სამხედრო ტყვეთა იმ სიების შემოწმება, რომლებიც ორივე მხარემ ერთმანეთს გაუცვალა, რათა გამოერკვია იმ სამხედრო ტყვეთა რაოდენობა და გვარები, რომლებიც რეპატრიირებულ უნდა იქნან ამ კლასიფიკაციის შესაბამისად, რაც ხორციელდება სამხედრო ტყვეთა ეროვნებისა და ადგილსამყოფელი რაიონების გათვალისწინებით, გამოიწვევდა კორეაში დაზავების შესახებ საბოლოო შეთანხმების დაუყოვნებლივ მიღწევას.

# კორეელი ხალხის მრისხანე პროტესტი ამერიკელების მიერ ჩრდილოეთ კორეაში ელექტროსადგურების ბარბაროსული დაბომბვის წინააღმდეგ

**ფხენიანი**, 8 ივლისი. (საკდესი). კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის ყველა რაიონში გრძელდება საპროტესტო მიტინგები და კრებები ამერიკელების მიერ ჩრდილოეთ კორეაში ელექტროსადგურების ბარბაროსული დაბომბვის წინააღმდეგ.

კორეის ცენტრალური დეპეშათა სააგენტო აქვეყნებს თავისი ვონსანელი კორესპონდენტის ცნობას მასობრივი საპროტესტო მიტინგების შესახებ. ქალაქის მოსახლეობა მკაცრად გმობს ამერიკელი ინტერვენტების მოქმედებას და მოითხოვს, რომ ხალხებმა სამართლიანი მსჯავრი დასდონ მე-20 საუკუნის ამ ბარბაროსებს.

# უშიშროების საბჭოში

**ნიუ-იორკი**, 8 ივლისი. (საკდესი). უშიშროების საბჭოს დღევანდელ სხდომაზე გრძელდებოდა განხილვა ამერიკის რეზოლუციის პროვოკაციული ხასიათის პროექტისა, რომელიც მოითხოვს „დაგმობილ იქნას“ შეერთებული შტატების წინააღმდეგ „ყალბ ბრალდებათა შედგენისა და გავრცელების პრაქტიკა“.

ამერიკის შეერთებული შტატების წარმომადგენელმა გროსმა, რომელიც ამერიკის რეზოლუციის პროექტის დასაცავად გამოვიდა, საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ დაუშვა ცილისმწამებლური გამოხდომები.

საბჭოთა კავშირის წარმომადგენელმა მალიკმა კვლავ გაიმეორა, რომ კორეასა და ჩინეთში ამერიკის ჯარების მიერ ბაქტერიოლოგიური იარაღის ხმარებასთან დაკავშირებული ყოველი საკითხისა თუ რეზოლუციის განხილვა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკისა და კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის წარმომადგენელთა დაუსწრებლად არათუ კანონიერი არ არის, არამედ ხელს უშლის სიმართლის გამორკვევას. მალიკმა გაიხსენა, რომ უშიშროების საბჭომ ამ ორი ქვეყნის მთავრობებისაგან მიიღო დასაბუთებული ბრალდება ბაქტერიოლოგიური იარაღის გამოყენებაში.

მალიკმა აღნიშნა, რომ ამერიკის შეერთებული შტატები თავისი რეზოლუციის პროექტის შემოტანით, რომელიც აღსავსეა პროვოკაციული ჭორებით საბჭოთა კავშირის, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკისა და კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის მიმართ, ცდილობენ მსოფლიო საზოგადოებრიობის აზრი ჩამოაშორონ ამერიკის შეერთებული შტატების პასუხისმგებლობას კორეასა და ჩინეთში ბაქტერიოლოგიური იარაღის ხმარებისათვის.

მალიკმა განაცხადა, რომ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკისა და კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის ხალხებმა სამართლიანად უარყვეს წინადადება ეგრეთწოდებული წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტის მიერ გამოკვლევის შესახებ, რამდენადაც ეს კომიტეტი საერთაშორისო ორგანიზაცია კი არ არის, არამედ მხოლოდ შეერთებული შტატების იარაღია.

დასასრულ მალიკმა განაცხადა, რომ საბჭოთა დელეგაცია ვერ განიხილავს ამერიკის ახლანდელ წინადადებას უშიშროების საბჭოში და ხმას მისცემს მის წინააღმდეგ.

ამით დაიხურა უშიშროების საბჭოს დილის სხდომა.

# მოსწავლეთა რესპუბლიკური სპარტაკიადა

## მოზარდ სპორტსმენთა ახალი რეკორდები

დამთავრდა მოსწავლეთა V რესპუბლიკური სპარტაკიადის მონაწილეთა შეჯიბრება მძლეოსნობასა და ცურვაში.

მძლეოსნობაში შეჯიბრება მიმდინარეობდა ბათუმში. პირველი ადგილი დაიკავა თბილისის ოლქის მოსწავლე მძლეოსანთა პირველმა გუნდმა, რომელმაც 29.071 ქულა მოაგროვა, მეორე ადგილზე გამოვიდა თბილისის ოლქის მოსწავლე სპორტსმენთა მეორე გუნდი (25.699 ქულა), მესამე ადგილი დაიკავა აფხაზეთის ასსრ გუნდმა (25.331 ქულა).

პირველი ადგილები მძლეოსნობის სხვადასხვა სახეში თბილისის ოლქიდან დაიკავეს ჭაბუკებს შორის: მ. გეგეშიძემ, ე. დროზდოვმა, ა. მჭედლიშვილმა, შ. პინჭარაულმა, გ. ასათიანმა, ი. ქართველიშვილმა, რ. ნაგორნიმ. მოსწავლე სპორტსმენმა მ. გეგეშიძემ პირველი ადგილები დაიკავა ბირთვის კვრაში, უროს ტყორცნაში, 100 და 200 მეტრზე სირბილში; ასეთივე წარმატება ხვდა გ. ასათიანს. გოგონებს შორის თბილისის ოლქიდან პირველი ადგილები დაიკავეს ლ. სესაძემ, ც. თეთრაძემ და ნ. სუვეროვამ, აგრეთვე ა. ოვივიანმა, ა. ძუგაევამ (აფხაზეთი), ე. ჯუგუროვამ (ქუთაისის ოლქი); ჭაბუკთა შორის: ი. ვოლობუევმა (აჭარა), ე. ამაღლობელმა (ქუთაისის ოლქი). სულ მძლეოსნობის სხვადასხვა სახეში პირველ ადგილებზე გამოვიდა 26 მოსწავლე სპორტსმენი. მათ გადაეცათ საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს დიპლომები.

ამანათრბენში გოგონებს შორის პირველი ადგილი დაიკავა აფხაზეთის ასსრ პირველმა გუნდმა, ვაჟებს შორის [illegible] ველმა გუნდმა.

1.500 მეტრზე რბენაში ახალი რესპუბლიკური რეკორდი ჭაბუკთათვის დაამყარა ი. ვოლობუევმა (აჭარის ასსრ), რომელმაც აღნიშნული მანძილი გაირბინა 4 წუთსა და 11,2 წამში. 5 კილომეტრზე სპორტულ სიარულში ახალი რესპუბლიკური რეკორდი ჭაბუკთათვის დაამყარა ა. მჭედლიშვილმა (თბილისის ოლქი. 24 წუთი და 58,4 წამი), ამავე მაჩვენებლით პირველი ადგილი დაიკავა ი. ახვლედიანმა (აფხაზეთის ასსრ).

ახალი რესპუბლიკური რეკორდი 15-16 წლის გოგონებისათვის ამანათცურვაში დაამყარეს რ. არკადიევამ, ნ. ბულახოვამ, ე. შავდიამ და დ. მიკირტუმოვამ (თბილისის ოლქი), ხოლო 200 მეტრზე ბრასის სტილით ცურვაში ჭაბუკთათვის — ს. არსენიევმა (თბილისის ოლქი). ამანათცურვაში როგორც ვაჟებს, ისე გოგონებს შორის პირველობა მოიპოვეს თბილისის ოლქის მცურავთა გუნდებმა. საერთოდ ცურვაში პირველი ადგილები დაიკავეს თბილისის ოლქის გუნდებმა, მეორე ადგილები აფხაზეთის ასსრ გუნდებმა, მესამე — აჭარის ასსრ და მეოთხე — ქუთაისის ოლქის გუნდებმა. თბილისის ოლქის ნორჩ მცურავთა გუნდებს გადაეცათ გარდამავალი თასი და ალამი. ცურვაში საუკეთესო მაჩვენებლებისათვის იმ გუნდებს შორის რომლებსაც საზამთრო საცურაო აუზი არა აქვთ, თასი გადაეცა აფხაზეთის ასსრ მცურავთა გუნდს.

# პირველი პროფკავშირული ალპინიადა

დღეს, 10 ივლისს, თბილისიდან ყაზბეგისაკენ მიემგზავრებიან პირველი პროფკავშირული ალპინიადის მონაწილენი, რომელთაც გადაწყვეტილი აქვთ მოახდინონ მასობრივი ასვლა პირველი კატეგორიის სიძნელის მწვერვალზე—მყინვარწვერზე (5.043 მეტრი ზღვის დონიდან).

სპარტაკიადაში მონაწილეობენ ნებაყოფლობითი სასპორტო საზოგადოებების „შრომის“, „ნაპერწკლის“, „მეცნიერების“, „წითელი ვარსკვლავის“ და სხვა სასპორტო საზოგადოებათა წარმომადგენლები—სტალინის სახელობის თბილისის ორთქლმავალ-ვაგონშემკეთებელი ქარხნის, ტრამვაი-ტროლეიბუსის სამმართველოს, წისქვილკომბინატის, ქაღალდის ფაბრიკის, სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის, საქართველოს სამხატვრო აკადემიის, ორთაჭალჰესის მშენებლობის და მთელი რიგი სხვა საწარმოების მუშები და მოსამსახურეები.

სპარტაკიადის საერთო ხელმძღვანელად გამოყოფილია სსრ კავშირის სპორტის დამსახურებული ოსტატი ი. მარი. ალპინიადის მონაწილეთა რგოლების ხელმძღვანელებად გამოყოფილი არიან უფროსი ალპინისტი-ინსტრუქტორები — ა. ივანიშვილი, ა. მჟავანაძე, გ. მელია. ალპინიადაში 60 კაცი მონაწილეობს.

# რამდენიმე სტრიქონით

⊙ ჭიათურის მაღაროებში და ტყიბულის შახტებში სამუშაოდ გაიგზავნა სახელმწიფო შრომითი რეზერვების სამთამადნო სასწავლებლების კურსდამთავრებული 250 ახალგაზრდა კვალიფიციური მაღაროელი და მეშახტე.

⊙ საქართველოს სსრ ხორცისა და რძის მრეწველობის სამინისტრო ცხაკაიას რაიონში აშენებს მეფრინველეობის დიდ ფაბრიკას. ფაბრიკაში დადგმული ინკუბატორები ყოველწლიურად მოგვცემენ 30.000 წიწილას, რისთვისაც ფაბრიკას ექნება 5.000 კვერცხისმდებელი დედალი. საფაბრიკო ტერიტორიად გამოყოფილია 225 ჰექტარი.

⊙ ქუთაისის ა. წულუკიძის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტის სტუდენტთა პროფკომმა 70 სტუდენტი აქტივისტი გაგზავნა დასასვენებლად ჩვენი ქვეყნის საუკეთესო კურორტებზე სანატორიუმებსა და დასასვენებელ სახლებში.

⊙ სტალინირში შეუდგნენ 300-ადგილიანი საზაფხულო კინოთეატრის შენობის აგებას. კინოთეატრის შენობა მზად იქნება უახლოეს ხანში.

# წიგნის ახალი მაღაზიები

თბილისში დღემდე არსებულ წიგნით მოვაჭრე 37 მაღაზიას ემატება წიგნის კიდევ 3 ახალი მაღაზია, რომლებსაც გახსნის „საქწიგნი“.

წიგნის მაღაზია იხსნება საბჭოს ქუჩაზე (ლენინის რაიონში) ახალი მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლის პირველ სართულში, აგრეთვე ორჯონიკიძისა და 26 კომისრის სახელობის რაიონებში.

სასამართლო

# საკოლმეურნეო ქონების დამტაცებლები დასჯილი არიან

სოფელ ყელეთის (ხაშურის რაიონი) ბერიას სახელობის კოლმეურნეობის საწყობის გამგედ მუშაობდა ლევან მიხეილის-ძე წიქარიშვილი. მან ბოროტად გამოიყენა თავისი თანამდებობა, 1951 წლის ივლისში მითვისების მიზნით საწყობში აუწონავად შეიტანა ორი ტონა ხორბალი. ამავე კოლმეურნეობის სატვირთო მანქანის ყოფილმა მძღოლმა გიორგი ბაგრატის-ძე გელაშვილმა კალოდან მოიპარა ათი ტომარა ხორბალი.

სოფელ ხცისის კოლმეურნეობის საწყობის გამგემ ირაკლი ტარიელაშვილმა მიითვისა კოლმეურნეობის კუთვნილი 3.343 მანეთის პროდუქტები.

ეს ბოროტმოქმედნი მიცემულ იქნენ სისხლის სამართლის პასუხისგებაში.

ხაშურის პირველი უბნის სახალხო სასამართლომ სოფელ ყელეთის კოლმეურნეობის საწყობის ყოფილ გამგეს ლევან წიქარიშვილს მიუსაჯა 18 წლის პატიმრობა, პირადი ქონების კონფისკაცია და 5 წლით საარჩევნო ხმის უფლების ჩამორთმევა. მანქანის მძღოლს გიორგი გელაშვილს მიუსაჯა 10 წლის პატიმრობა, ხოლო სოფელ ხცისის კოლმეურნეობის საწყობის ყოფილ გამგეს ირაკლი ტარიელაშვილს 8 წლის პატიმრობა, პირადი ქონების კონფისკაცია და სასჯელის მოხდის შემდეგ 3 წლით საარჩევნო ხმის უფლების ჩამორთმევა.

# დღეს გაზეთ „ზარია ვოსტოკაში“

**პირველი გვერდი** — მოწინავე — სამეურნეო ხელმძღვანელობა — ახალი ამოცანების სიმაღლეზე.

შეჯიბრება დონბასელ მეშახტეებთან. მივცეთ მეტი ჩაი სამშობლოს. საბჭოთა კავშირში.

**მეორე გვერდი** — გ. კოზლოვი — კაპიტალიზმის საერთო კრიზისი და მისი გამწვავება ომისშემდგომ პერიოდში.

**მესამე გვერდი** — კ. მუმლაძე — კომბაინები უმოქმედოდაა, პური ჩაწოლილია. ახმეტის რაიონის კოლმეურნეობებმა დაიწყეს პურის მოსავლის შერჩევითი აღება.

მკითხველთა წერილები. რედაქციის ფოსტიდან.

ფელეტონი — ი. მუხაძე, ს. სარაული — მოგზაურობა სახიფათო იქნება...

ანდრე სტილის განცხადება პრესის წარმომადგენლებისადმი.

**მეოთხე გვერდი** — უცხოეთის ინფორმაციები. ქალაქის ქრონიკა.

რედაქტორი გ. მერკვილაძე

# საინტერესო გამოფენა

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროსა და საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის ინიციატივით თბილისის ვაჟთა მე-12 საშუალო სკოლის შენობაში (პლეხანოვის პროსპ., 178) გაიხსნა მოსწავლეთა ნამუშევრების გამოფენა.

გამოფენა გაფორმებულია კომპლექსური თემატიკის მიხედვით—„ნორჩ ტექნიკოსთა დახმარება სკოლებს“ და წარმოადგენს მოსწავლე ნორჩი ტექნიკოსების მიერ დამზადებულ ისეთ ნაკეთობებს, რომლებიც შეიძლება გამოყენებულ იქნას სკოლებში სხვადასხვა საგნების გავლისას, როგორც თვალსაჩინო ხელსაწყოები. ხუთ დიდ საკლასო დარბაზში ათასზე მეტი ექსპონატია განლაგებული.

ბევრი საინტერესო ექსპონატებია წარმოდგენილი ფიზიკის განყოფილებაში. მათ შორის საყურადღებოა: კვამლის არხი, რომელიც დამზადებულია ნორჩ ტექნიკოსთა ცენტრალურ სადგურში ელექტროტექნიკუმის II კურსის სტუდენტის ი. იმედაშვილის მიერ. ამ ხელსაწყოს საშუალებით შეიძლება თვალსაჩინოდ დემონსტრირებულ იქნას ჰაერში მოძრავი ამა თუ იმ საგნის (მაგალითად, თვითმფრინავის ფრთა) გარშემომდინარება.

საინტერესოა აეროდინამიკური მილი, რომელიც დამზადებულია რკინიგზის მე-7 სკოლის მე-8 კლასის მოსწავლის ს. ივანოვის მიერ. ამ მილის საშუალებით ირკვევა თვითმფრინავის ფრთის ამწევი ძალა. ხელსაწყოს წარმატებით იყენებენ ნორჩ ტექნიკოსთა ცენტრალურ სადგურში ავიამოდელების გამოსაცდელად.

ბევრი სხვადასხვანაირი კარგად მოფიქრებული ექსპონატია წარმოდგენილი რადიოსა და ელექტროტექნიკის განყოფილებაში. ყველაზე საინტერესოა 20 ვატის სიმძლავრის რადიოკვანძი, რომელიც დამზადებულია ვაჟთა მე-9 საშუალო სკოლის მე-10 კლასის მოსწავლეების ა. ბალანჩივაძის და რ. სეიდოვის მიერ ნორჩ ტექნიკოსთა ცენტრალური სადგურის რადიოლაბორატორიაში. აღნიშნული სკოლა მიმდინარე წლის აპრილიდან რადიოკვანძის საშუალებით ყოველდღე გადასცემს სასკოლო რადიოგაზეთს, აგრეთვე ტრანსლაციას თბილისის რადიოსადგურიდან.

წელს განსაკუთრებით გამოიჩინა თავი ნორჩ ტექნიკოსთა ცენტრალური სადგურის რადიოლაბორატორიაში რადიოტექნიკის შემსწავლელმა წრემ, რომელშიც შედიან ქალთა მე-13 სკოლის მე-9 კლასის მოსწავლეები. ამ წრის მონაწილეებმა ე. იტრიევამ, ი. მოსაშვილმა, ლ. ბუბუტეიშვილმა, ნ. გამცემლიძემ, ლ. დოლგოვამ და გ. ირემაშვილმა დაამზადეს დეტექტორული რადიომიმღები და რადიოს გამომგონებლის ა. პოპოვის ნაპერწკლური გადამცემისა და მეხთაღმნიშვნელის მოქმედი აპარატები.

დეტექტორულ რადიომიმღებებს დღემდე არ დაუკარგავთ თავიანთი მნიშვნელობა სოფლების რადიოფიკაციაში. ამიტომ მოსწავლეების მიერ გამოფენილ ექსპონატებში ყოველ წელიწადს ვხვდებით სულ სხვადასხვა კონსტრუქციის დეტექტორულ მიმღებებს. განსაკუთრებით საინტერესოა მინიატურული დეტექტორული მიმღებები, დამზადებული ნორჩ ტექნიკოსთა ცენტრალურ სადგურში ვაჟთა 1-ლი სკოლის მე-7 კლასის მოსწავლის ი. უკლებას და ვაჟთა მე-13 სკოლის მოსწავლის ო. დიმიტრიადის მიერ.

ვაჟთა 43-ე სკოლის მე-10 კლასის მოსწავლის გ. ჯიბლაძის და ვაჟთა მე-12 სკოლის მე-9 კლასის მოსწავლეების ა. კვიტაიშვილისა და ა. ჩოდრიშვილის დამზადებული მოკლეტალღიანი გადამცემი ნორჩ ტექნიკოსთა ცენტრალური სადგურის მოსწავლეებს დაეხმარება მომავალ წელს მათს დაკვირვებებში.

ძალიან საინტერესო გულის მუშაობის ხმამაღლა გადმომცემი აპარატი, დამზადებული ვაჟთა მე-13 სკოლის მე-9 კლასის წარჩინებული მოსწავლის—ანატოლი გალუსტოვის მიერ. გალუსტოვის მიერ დამზადებული ხელსაწყო შეიძლება გამოყენებულ იქნას სამედიცინო სასწავლებლების ლექტორებისათვის, საავადმყოფოებისა და პოლიკლინიკებისათვის.

გამოფენა-კონკურსში წელს პირველად მიიღეს მონაწილეობა ნახიმოვის სასწავლებლის აღსაზრდელებმა. მათ მიერ გამოფენაზე წარმოდგენილი რადიოკონსტრუქციები ფაქიზი შესრულებით განირჩევა.

დიდ ინტერესს იწვევს სახელოსნო სასწავლებლების კულტურის სახლის მიერ წარმოდგენილი მოძრავი ტრაქტორი, რომელიც დამზადებულია № 11 სახელოსნო სასწავლებლის მოსწავლეების მიერ. ტრაქტორი მოძრაობს ფოტოელემენტზე სინათლის დაცემით. როგორც კი სინათლეს ჩამოვაფარებთ რაიმეს, ტრაქტორი ჩერდება.

გამოფენის ბევრი მნახველის ყურადღებას იპყრობს საბჭოთა კავშირის წიაღისეულ სიმდიდრეთა დიდი ელექტროფიცირებული რუკა.

ყოველ 40 წამში ავტომატურად ინთება სხვადასხვა ფერის ნათურები, რომლებიც რუკაზე აღნიშნავენ ამა თუ იმ წიაღისეული სიმდიდრის საბადოს. ეს ექსპონატი ნორჩ ტექნიკოსთა ცენტრალური სადგურის ელექტროტექნიკურ ლაბორატორიაში დამზადებულია ვაჟთა მე-15 სკოლის მოსწავლეების ჯგუფის მიერ.

საინტერესოა ნათურებიანი ხელსაწყო ტევადობათა და წინაღმდეგობათა გასაზომად, იგი დამზადებულია ნორჩ ტექნიკოსთა ცენტრალური სადგურის რადიოლაბორატორიაში ვაჟთა მე-13 სკოლის მე-8 კლასის მოსწავლის—სწავლის ფრიადოსნის ო. რუსანოვის მიერ. ამ ხელსაწყოს 1952 წელს მე-10 საკავშირო დაუსწრებელ რადიოგამოფენაზე II ხარისხის დიპლომი მიენიჭა.

მრავალფეროვანი ექსპონატებია წარმოდგენილი ბიოლოგიაში. აქვეა ხელსაწყო, რომელიც ნათლად აჩვენებს ქიმიური ენერგიის მექანიკურ ენერგიად გარდაქმნას. ის დამზადებულია ფოთის ვაჟთა 1-ლი საშუალო სკოლის VIII კლასის მოსწავლეების ო. ნაცვლიშვილის, ნ. გურგენიძის და რ. დარჩიას მიერ.

კარგად არის გაფორმებული კასპის ნორჩ ტექნიკოსთა სადგურის ქიმიის წრის წევრთა მიერ დამზადებული ელექტროფიცირებული ელემენტთა პერიოდული სისტემა. იგი შეიძლება გამოყენებულ იქნას ელემენტთა პერიოდული სისტემის შესასწავლად.

ქიმიის განყოფილებაში მრავალი თვითნაკეთი ხელსაწყოა წარმოდგენილი, მათი გამოყენება შეიძლება გაკვეთილებზე სადემონსტრაციო ცდებისათვის.

გამოფენაზე დიდ ყურადღებას იპყრობს სამტრედიის ნორჩ ტექნიკოსთა სადგურში რუსული საშუალო სკოლის მე-8 კლასის მოსწავლეების ვ. კალაძის და ბ. სულუხანოვის მიერ დამზადებული ელექტროფიცირებული რუკა — კომუნიზმის დიადი მშენებლობანი.

ამ ფრიად მნიშვნელოვანი საქმისადმი უყურადღებობა გამოიჩინეს მთელმა რიგმა რაიონებმა. მაგალითად, სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ რესპუბლიკიდან, სიღნაღის, აბაშის, წითელწყაროს, ბორჯომის რაიონებიდან არც ერთი ექსპონატი არ არის წარმოდგენილი.

თბილისის რაიონებიდან კიროვის რაიონის სკოლებს არც ერთი ექსპონატი არ წარმოუდგენიათ. ბერიას რაიონის სკოლების მიერ კი წარმოდგენილი იქნა მხოლოდ სამი ექსპონატი, ისიც ძალიან მცირე მნიშვნელობისა.

სკოლები, რომლებსაც გამოფენაზე ექსპონატები არ წარმოუდგენიათ, ვალდებული არიან მეტი გულისხმიერება გამოიჩინონ ამ ფრიად მნიშვნელოვანი საქმისადმი. ისინი მომავალ წელს კარგი ნამუშევრებით უნდა წარსდგნენ გამოფენაზე.

ზ. ჯამასპიშვილი.

# საქართველოს რადიოინფორმაციის კომიტეტის გადაცემათა პროგრამა

**11 ივლისს**

**რადიოსადგურით 59,52 მეტრ ტალღაზე და ქალაქის სატრანსლაციო ქსელით.**

06.25 — ქართული ხალხური სიმღერები; 07.30 — არუთინიანის კანტატა სამშობლოზე; 09.20 — სცენები ნაპრავნიკის ოპერა „დუბროვსკიდან“; 10.30 — ლიტერატურული გადაცემა: ნაწყვეტი აკაკი წერეთლის პოემა „თორნიკე ერისთავიდან“; 11.10 — მუსიკალური ნაწყვეტები კინოფილმებიდან.

**რადიოსადგურებით 1571 და 59,52 მეტრ ტალღებზე და ქალაქის სატრანსლაციო ქსელით.**

17.15 — კონცერტი ვანო სარაჯიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის კურსდამთავრებულთა მონაწილეობით; 17.40 — გადაცემა მოსწავლეთათვის; 18.15 — შუმანის „კარნავალი“; 19.20 — კონცერტი ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრის სოლისტების ეკატერინე ხიჯაკაძისა და შოთა თაბუკაშვილის მონაწილეობით; 19.45 — გადაცემა ახალგაზრდობისათვის.

**რადიოსადგურებით 1500 და 59,52 მეტრ ტალღებზე და ქალაქის სატრანსლაციო ქსელით.**

20.30 — რადიოსადგურებით — გადაცემა სოფლის მეურნეობის მუშაკთათვის; ქალაქის ქსელით — კამერული მუსიკის კონცერტი; 20.45— კონცერტი ქართველ კომპოზიტორთა ნაწარმოებებიდან; 21.00 — საუბარი: „დღეს დიად მშენებლობაზე“ (წერილი კუიბიშევის ჰესის მშენებლობიდან); 21.50 — საბჭოთა კავშირის და სახალხო დემოკრატიის ქვეყნების ხალხთა სიმღერები და საცეკვაოები; 22.30 — ლიტერატურული გადაცემა: ბ. პოლევოის მოთხრობა: „წერილი შთამომავლობას“; 22.50 — კონცერტი მოცარტის ნაწარმოებებიდან; 00.05 — საბჭოთა კომპოზიტორების ნაწარმოებები.

# დღეს კინოებში

**რუსთაველის სახელობის, „ოქტომბერი“, 26 კომისრის სახელობის** (ზამთრის)—ინდოეთში; **ამირანი** (ზამთრის) — ოცნება; **თბილისი, კოლხიდა, კიროვის პარკი** — ცოცხალი ლეში; **ორჯონიკიძის პარკი** — ვეფხვი აკბარი; **ოფიცერთა პარკი** — დუნაის შვილი; **იხანი** (ზამთრის)—დახშული წრე, (ზაფხულის) — სახიფათო რეისი; **კოლმეურნე** — დასავლეთი ზონა; **დიდუბე** (ზაფხულის) — გიორგი სააკაძე, 1 სერია.

მესამე სამშობიარო სახლის და პირველი მეანგინეკოლოგიური კლინიკის თანამშრომლები იუწყებიან **მარიამ პავლეს ასულ კანდელაკის** გარდაცვალებას.

ირინე კიზირია, სიმონ და ილია გამყრელიძეები ოჯახებით, ეკატერინე გამყრელიძე იუწყებიან სიძის **გრიგოლ ნოშრევანის-ძე ბასილაშვილის** გარდაცვალებას.

ამიერკავკასიის მეტალურგიული ქარხნის სამსხმელო საამქროს კოლექტივი იუწყება ინჟინერ **გრიგოლ ნოშრევანის-ძე ბასილაშვილის** გარდაცვალებას.

რედაქციის მისამართი: თბილისი, ლენინის ქ. № 14, ტელეფონები: პასუხისმგებელი მდივნის — 3-08-67, ხამდივნოსი — 3-06-88, განყოფილებებისა: პროპაგანდისა და პარტიული ცხოვრების — 3-81-84, სასოფლო-სამეურნეოსი — 3-57-61, საბჭოთა მშენებლობის, კულტურის, ყოფა-ცხოვრებისა და ადგილობრივ კორესპონდენტთა ქსელის — 3-80-83, სამრეწველო-სატრანსპორტოსი და ინფორმაციის — 3-80-84, მშრომელთა წერილების — 3-73-24, მორიგისა და გამომშვების—3-81-65, გამომცემლობისა — 3-51-81, სტამბის დირექტორის — 3-77-70.

ლ. პ. ბერიას სახელობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი“, თბილისი, ლენინის ქ. № 14. უე 03637